


K 37.922
2


36.10.1953
312.0101033



Handwritten signature in red ink, possibly reading 'S. S. S.', located at the bottom of the page.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ავხაზეთის

ლიტერატურის

საქართველოს

ქართული

ენების

თავიჯი

ქართული კოლხედი ეზსუხეთს

ქართული
საბჭოთაო



თ ბ ი ლ ი ს ი

1969

3412020
307-1101033

Handwritten characters in red ink, arranged in a row. The characters are highly stylized and resemble cursive or decorative script.

Handwritten characters in red ink, arranged in a row. The characters are highly stylized and resemble cursive or decorative script.

Handwritten characters in red ink, arranged in a row. The characters are highly stylized and resemble cursive or decorative script.

Handwritten characters in black ink, arranged in a row. The characters are smaller and more uniform in style than the red characters above.



Handwritten characters in purple ink, partially visible on the left edge of the page.

Handwritten characters in purple ink, partially visible on the right edge of the page, including some circular markings.



899 962 1.1

ქართული ენის
საქართველოს
7-4-3

სკეპ-2000
ქართული ენის

საუკუნეთა მანძილზე ვრცინებო-
და მოქარბებულ მტერს ბედითა
და ცხოვრებით შეკავშირებული
აფხაზეთი და საქართველო. ამ
ბრძოლათა ქართველებში ქარ-
თველმა ხალხმა თავის ეროვნულ
კულტურასთან ერთად მკერდით
დაიცვა და დღევანდელ დღემდე
ღირსეულად მთიტანა სისხლწორ-
ცეული ძმის — აფხაზების სულიე-
რი კულტურა.

საბჭოთა აფხაზეთის ლიტერატუ-
რისა და ხელოვნების დეკადის წინ
ქართველი პოეტების ჩანგი ერ-
თხელ კიდევ ამცნობს აფხაზ ხალხს
ამ დიდ და უცვლელ სიყვარულს.

ღამე ტყვარჩელში

ახლა ღამეა,
 ეველგან ბინდია,
 მთვარესაც ბინდი ეხვევა ნელა,
 მთებზე ნისლები აღარ მიდიან
 და მწვერვალებზე საოცრად ბნელა.

უფსკრულებს პირი შეუკრავთ ფართო,
 თეთრად აღარ ჩანს თოვლის ნარჩენი,
 ვით ზღვაში გემი,
 ღამეში მარტო
 გაჩაღებული მოჩანს ტყვარჩელი.

გაბრწყინებია უთვალავ ჭაღად
 ურიცხვი თვალი ნაკვერჩხლიანი
 და ხეობაში, დუმბილში, სადღაც
 წყლის ტალღებს გააქეთ ქეაზე ჩხრიალი.

და უერთდება მღუმარე შორეთს
წყლის ჩქერა, როგორც შხუილი ქართა,
მხოლოდ მდინარეს არ სძინავს, თორემ
სხვა ყველას სძინავს, მდინარის გარდა.

მხოლოდ არ სძინავს ტყვარჩელის წიაღს,
მთების გულს ისევ გააქვს გუგუნი
და იერიში ქვესკნელზე მიაქვთ,
თუმც ყველგან მეფობს ღამის უკუნი.

ბნელ ცაზე მთვარე არ ჩნდება წამით,
მთებზეც აღარ ჩანს თოვლის ნარჩენი
და, როგორც ზღვაში ხომალდი ღამით,
გაჩაღებული მოჩანს ტყვარჩელი.

ოჩამჩირელი ბერიკაცები

წუთისოფელზე მათ უნდა სთქვან:
ერთი წუთია!..

შებერებია მხრებს ნაბადი,
წელს სატევარი,
თვალის გახელაც გაოცებით
ვერ მოუსწრიათ,

ისე გასულა საუკუნე
ერთ-ნახევარი.

არ მოწყენიათ

მშობლიური ტურფა მთა-ბარი,
თბილი, პატარა ზღვის ნაპირი,
წყნარი წიბელდა....



მათ თვალწინ გაპქრა

ბევრი მეფე, ბევრი მთავარი
და მთელი წყება,

მთელი წყება რუს ხელმწიფეთა.

მათ ის დროც ახსოვთ,

როცა მართლა არ თვლიდნენ ძალღაღ
უღელს რომ კვნესით მიათრევდნენ
თავმოხრილები...

ხასწაულს დახეთ!

კოლექტივში არიან ახლა
ასი წლის წინათ ბატონების
ყმად ყოფილები.

რა არ უნახავთ,

რა ბევრი რამ ეუცხოებათ!
მათი გრძელი გზა რა დიდია,
რარივ შორია!

და მაინც ისე,

ისე უნდათ კიდევ ცხოვრება,
თითქოს ჯერ ქვეყნად
ოცი წელიც არ უცხოვრიათ!



ზ ჳ ა

ზღვა დელავს, დელავს,
 ამხელა სივრცე
ნაპირებს აწყდება,
 ბორგავს და მწყრალია;
რა უჭირს, რომ შევხვდე
 და ხელი მივცე?
რა ვუყოთ, რომ ზღვაა,
 რომ მხოლოდ წყალია.

ის დილით ვიხილე
 ვით ადამიანი,
ხან ფეხზე შევარდა,
 ხან ქვებზე წვებოდა,
უნდოდა გადმოსვლა
 და ტალღა ხშიანი
ხმელეთზე მიღებას
 მე მეხვეწებოდა.



საიდან, ვინ არის,
 რა ბედი შეჰყვია,
ამდენი ტალღები
 რა მხარეს ატირეს?
მორბიან, მორბიან,
 მორბიან,
 ეკვრიან
ბათუმის, სოხუმის,
 ყირიმის ნაპირებს.

ვინ გეტყვის სად იყვნენ,
 რა ნახეს, ვინ იცის,
რა მხარეს გაივსნენ
 ცრემლების დელეთი,
რომელი ქვეყანა
 დაგმეს და გაექცნენ,
რომელი ნაპირი,
 რომელი ხმელეთი.

ვის მიწას მიადგნენ
 დელვით და ნავარდით,
რა ნახეს,
 ვინ გეტყვის,
 სხვა ქვეყნის კართანა!
მხოლოდ აქ ისეთი
 ღრიალით მოვარდნენ,
რომ აღბათ აღარ სურთ
 ამდენის ატანა.

ვინ — ქუჩის მტვერშია,
ვინ ციხის ტყვედ არი,
ვინ — გზებში ჩაკვდება
და ჩაიხურება...
ესპანეთს თუ ნახეს
მებრძოლის ცხედარი,
რათა რომ ზღვა არის, —
აღარ სურს ყურება.

გაიქცა.
მაშ რა ჰქნას,
იმდენად აღავსეს,
რომ ცრემლი აღარ სურს
ზღვამ შესვას მარადმა,
საბჭოთა აჭარას,
ყირიმს
და აფხაზეთს
მოასკდნენ ტალღები
თავშესაფარადა.

ზღვა დელავს,
ზღვა დელავს,
ამხელა სივრცე
ნაპირებს აწელება,
ბორგავს და მწვრალია,
მომეცით მე ტალღა, —
მსურს ხელი მივცე,
რა ვუყოთ, რომ ზღვაა,
რომ მხოლოდ წყალია?!

აზხაზი მონადირე

იქნებ მხარი მეცვალოს,
ბინდმა ფრთები გაშალა.
ვარსკვლავების მაშხალა
მომაშველე ზეცაო.

იქნებ მხარი მეცვალოს,
ბინდში საით გავწიო?
ფრთა მათხოვე, მერცხალო,
ფრთა მათხოვე, არწივო.

მთვარე მთას ვერ ასცილდა,
იქნებ გზებმა დაღალა.
მელის ჩემი ასიდა,
ჩემი თვალეებმაყვალა.

ბინდმა ფრთები გაშალა,
იქნებ მხარი მეცვალოს.

ვარსკვლავების მაშხალა
მომაშველე ზეცაო.



ე რ ც ა ხ უ

ბევრის მნახველი ერცახუს კალთა,
ერცახუს ქიმი მნახველი ბევრის,
თითქოსდა წარსულს იგონებს ნათლად,
თითქოსდა ხედავს შორეულ მერმისს.

გაამხნევებდა ბზიბსა და ეგრისს:
დაიფრინეთო ძერა და ქორი!..
და იდგა როგორც იმედის ძეგლი,
ცრემლით დანამულ მთავორებს შორის.

ის აფხაზეთის გრძნობდა იარას,
არ შერეულა წარღვნების დროსაც
და მეჩვენება, თოვლი კი არა,
საუკუნეთა ჭაღარა მოსავს.

ხ ი დ ი ბ ე ს ლ ე თ ზ ე

წლების წინაშე ქედს არ იხრიდა,
ნაოსტატარი არის ტიტანთა.
ის აიტანა თამარის ხიდმა,
რასაც ქვაციხე ვერ აიტანდა.



ქართული
ბიბლიოთეკა

რვა საუკუნემ ზედ გაიარა,
ვერ დააჩინა ვერსად იარა.
ვინ შეადულა ის ციტადელად,
ზედ ვინ ამოჭრა ასო ქართული?
მართლა ხიდია თუ ცისარტყელა,
იქნებ შვილდია გოლიათური!

ძმობის სიმბოლოდ წამომართულმა,
წელთა სიმრავლე მხრებით ასწია.
აღბათ დაიხსნა ასომ ქართულმა.
ბედნიერ დრომდე რომ მოაღწია.

მოდის ტურისტი, სურათს საოცარს
ხედავს და ფიქრში თვალს შეაგებებს
იმ დროს... როს ქმნიდნენ


„ვეფხისტყაოსანს“,
როცა ბესლეთზე ამ ხიდს აგებდნენ.

და უთვალავჯერ დალოცავს გულში,
ყველა მათ — ხიდებს ვინც ამრავლებდა...
გუმისთას ცეცხლი მოსტაცეს ვუშინ
იმ ოსტატების შთამომავლებმა.

ქედებს გასძახის ხიდი ბებერი:
„აუ, რამდენი წარღვნა მინახავს!
ქარბუქს ვადავრჩი და უვნებელი
ჩემმა ქვეყანამ შემომინახა.

შემომინახა ჩემმა მთა-ბარმა,
დიდი რუსთველის თვალშენავლები
ვხედავ, შვიდწლედის ვახტზე დასწვრივ
ჩემი მშენებლის შთამომავლები“.





ერთი საღამო აფხაზეთში

დასძახე, კარგო, ჩონგურზე ტკბილი
დასძახე ყრმობის სიმღერა ჩემი.
არ ამომსვლია ჯერ სიბრძნის კბილი,
ბაღლი ვიყავი და ბაღლად ვრჩები.
დასძახე ჩემი ბავშვობის ნანა,
ჩემი პირველი სიმღერის ეშნი,
დასძახე და ამ სიმღერის ძალა,
ფრუანტელივით გაიარს ხეშიც.
მღეროდეს შენი ჩონგური გულთან,
პოეტის გულიც სწორედ აქ არი.
იმღერე, და ამ ლექსებს სათუთად
გულიდან-გულში წაიღებს ქარი.
ვგავარ ექსტაზში შესულ მეთარეს,
იმღერე, მალე ნუ დაასრულებ,
ო, ნუ მოღუშავ მაყვლისფერ თვალებს,
იმღერე, კარგო, იმღერე სულე!¹

¹ სულე — საყვარელო, ძვირფასო (აფხაზ.).



იმღერე ტკბილი სიცოცხლის ოდა,
 უმღერე გაშლილ ყვავილის სურნელს
 იმღერე, კარგო, იმღერე ჰოდა... 21

სასიხარულოდ იმღერე, სულე!
 თოვს... თოვს და გული სიაპით ტოკავს,
 ხის რტოებს ვერცხლად დაჰკვრია ჭირხლი.
 შორს, მწვერვალებზე ყინულებს ლოკავს
 შაქარყინულით გაზრდილი ჯიხვი.
 შენ მზესუმზირას დაგარქმევ მისთვის,
 რომ გიყვარს მზისკენ თვალების ტყორცნა.
 იმღერე კარგო, იმღერე... ისმის
 ჩონგურის ხმებში პირველი კოცნაც.
 იმღერე მზეზე, იმღერე საძმო,
 ადიდე ტკბილი, მზიანი ყოფა.
 ათიათასი წელი რომ გაეძლოთ,
 ასამღერებლად ესეც გვეყოფა.



უღლანურხვაში ნათქვამი

აქ ყველაფერი არის ნაცნობი,
როგორც ძახილი ყმაწვილკაცობის:

ციცაბო კლდეზე ჯირითი ცხენთა
და საოცრების საამო ელდა;

ბერიკაცების დარბაისლობა,
სიჭაბუკე და ხმალთა მისნობა;

სტუმრის თაყვანი და ვაღმერთება,
მეგობრისათვის თაყვამეტება;

მთების ასულთა ხელების გამლა,
აფხაზური და ქართული ვაშა;

აფხიარცაზე ნათქვამი სიტყვა
და ფხიან ხმალზე ციმციმი სხივთა;



ერთი სუნთქვა და ფიქრი საერთო,
რომ არ ვვარგვივართ უერთმანეთად.


სადღევრძელო და ფიცი კაცური,
ჩვენი უკვდავი ძმობის დასტური...

ეს ყველაფერი არის ნაცნობი,
ათიათასჯერ ნანახ-ნაგრძნობი,


ბუნებასავით მარად ცოცხალი
და... მაინც მუდამ გასაოცარი!

საბავშვო აფხაზეთი

უწინ ძალ-ღონეს მისთვის ხარჯავდით,
 რომელს რგებოდა იორღა ცხენი;
 დღეს, ჩავივიათ ბასრი ხანჯალი
 აღმშენებლობით გული გაქვთ ცხელი.
 სადაც ძმა ძმისთვის მახვილს მართავდა,
 ეხლა შორეულ ერებსაც ინდობს,
 სისხლის აღების დრო თუ გათავდა,
 მზის დასაცავად შეღებავს მინდორს.
 აფხაზეთის მთებს ნისლი ეხვია
 და სიბნელეში ვიღაც ლალობდა,
 როცა ძლიერი ელვა-მეხვიით
 ტყიდან მოყავდა ჯარი ლაკობას.
 ამ თავგანწირულ ბრძოლების შემდეგ
 საგანთიადომ გადმოანათა,
 მზე აღმოსავლის გორაკზე შედგა
 და ამბოხების დროშა აღმართა.



ეხლა ნაპირთან გემი: „მერინვი“
სამოგზაუროდ იცდის ისევ;
კვამლით ჩაცმული ძველი სადგურა
მეზღვაურივით აღარ ისვენებს.
გონიერ თვალით ყველა შეამჩნევს
ეხლა ეს მხარე უფრო სხვა არი;
როს მკერდებს სისხლი არ შეშრობიათ,
გმირულ შრომასაც არ აქვს საზღვარი.
— აშრობენ ჭაობს, გადის შარავზა,
ისმის ყვირილი თამბაქოს ქარხნის;
და არმიელებს ვხედავ დარაზმულს,
— სადაც გამოყავთ ლენქოფის არხი.
ლამაზო მხარევ! მე აღარ მინდა
გეწვიო, როგორც მოაგარაკე;
„განსასვენებელს“ ვეძებდე მინდორს
და მომითხრობდე — ზღაპრებს, არაკებს.
სამარცხვინოა მებრძოლ მგოსნისთვის
წყნარ ცხოვრებაზე გიწერდეს ეპოსს,
როცა გვარტყია მტერი მოსისხლე,
საბჭოთა მხარის ძვირფასო ძმებო!



სოხუმში მოსულ გემს ამ დილით
შორიდან ზვერავე,
ხალხი ირევა... ზედ თოკებით
ყუთებსაც დებენ.
უცებ იმ გემის ხმა გაისმის ისე ძლიერად,
რომ შენს ოთახში სურათებიც კი ყურს
უგდებენ.
გპირდება გემი საოცნებო ქვეყნების ნახვას,
შენ კი ბადის წინ, ფანჯარასთან,
გულმშვიდად ზიხარ.
გეძახის გემი, კარგო, მაგრამ შენ სადმე
წახვალ?
როს ხარ წალკოტში! თვით ამქვეყნად
უტურფესი ხარ!



ზღვა და მთა

კავკასიონსა მდუმარე მთები
ზედ ზღვის კიდესა მიუბჯენია,
და მიუვალი კლდე ნაპრალები
სქელი ბურუსით მოუფენია.

თითქოს გაისმის კვნესა და გმინვა
პრომეთეოსის მიჯაჭვულისა,
საზარი ძერა ფრთას აშრიალებს,
ამოგლეჯილის მისი გულისა
და ოკეანის ტურფა ასულნი
მიდიან მასთან ცრემლის საღვრელად.

მზის ჩასვლა

ცის კიდურს აღი გადაჰკრავს,
კამარა წითლად ელვარებს,
ზღვა მნათობს გულში იხუტებს
და სიტკბოებით მღელვარებს. —



ქართული
ბიბლიოთეკა

შუქი ტანს იბანს კდემითა,
ტალღებზე გადის რიალებს,
მასთან თამაშით დამთვრალი
თევზი უღიმის, ცქრიალებს.
ღრუბელთ ნაკვეთები სვრუბად
ზღვას ადგას გვირგვინივითა,
თრთის შერხეული ეთერი
უკანასკნელის სხივითა.
სივრცე სდუმს, ჩადგა ნიავი,
ხანდაკი დაუნამია,
ენებათა დელეავ, დაწყნარდი
მწუხრის ოცნების წამია.



ზღვის პირს

I

ტალღათ ფაფარზე გამოზრდილი ვარ,
არ ვარ ჩვეული მე მოსვენებას,
ნაპერწყალი ვარ მედგარ მეხისა,
მათ ვუმდეროდი ქებათა-ქებას.
ან-კი სად ვპოვო მე მოსვენება,
ვიდრე სიცოცხლის ძაფი შესწყდება,
ან-კი ვით დასცხრეს მკერდის ქვეშ გული,
ვით დასცხრეს სული ამხედრებული!

II

აბა, მიჩვენეთ ისეთი მხარე,
სად სურვილს ფრთები არ ეკვეცოდეს,
და სულს მოლაღეს და სულს მოშმაგეს
არ სჯიდნენ, როგორც დემონს — შემცოდეს.

არა, ვერ ვნახო მე იგი ვერსად,
და ისე მოვკვდე, ვერ მოვისვენო,
მოვკვდე, მაგრამ კვლავ ავეყე ქართულს,
მასთან ვგმინავდე უსიტყვ-უნო!

III

მანამდისინ კი დავდივარ ქვეყნად
და სამშობლოში ვეძებ სამშობლოს,
მინდა მეც ჩემი ღმერთი რომ მყვანდეს,
მინდა რომ გული არ დააობლოს.
ეს ლურჯი ცა ხომ კოლხიდისაა!
სხვაგან სად კოცნის თოვლი ყვაავილებს?!
მაგრამ მიჩვენეთ თვითონ კოლხეთი,
ან შემახვედრეთ კოლხეთის შვილებს!
პასუხად თავზე ყორნების გუნდმა,
ყიალ-ჩნავილით გადამიარა,
მას თვის კლანჭებში, როგორც რამ ლეში,
ეჭირა ქართველის ძველი იარა...

IV

პონტოსის ზღვის პირს ვავეე ნელ-ნელა,
შემხვდა რამ კოშკი ცას ამართული,
მას ქართველის სისხლი გარს შეჰხმობოდა,
არ-კი ისმოდა ირგვლივ ქართული!
და ზღვას მივმართე, მივმართე ტალღებს,
მოდლილი გული მათ მიუბრუნდა:
— ხომ არ გინახავთ ჩემი სამშობლო?
„როგორ არაო, ჰყიდდა იუდა!“



გედი ლამაზი ტბას მოსცურავედა,
 გედი ყარყარა ფრთებსა სწურავედა,
 გედი ლამაზი სევდას მღეროდა,
 აღბათ ჩემსავით სიკვდილს ელოდა...
 იმასაც ვკითხე... ვუამბე კიდევ...

ვუთხარ რომ ერთხელ მეც მევანდა გედი...
 და მიპასუხა: „მას წყნარი ტბა მსურს,
 შენ კი ზვირთებში მხოლოდ დაკბერდი.“
 ახ, გედო, გედო, რა მებრალები,
 უკანასკნელად ვმღერით მე და შენ,
 მე ჩემს ლამაზ გედს ველარა ვნახავ, —
 შენც ამ ლამაზ ტბას ველარ დაამშვენ!
 მართალსაც ამბობ, ანგელოზთ ლოცვა
 ჩემს გულს აროდეს მოჰკარებია,
 თუ სიყვარული მოსვენებაა,
 მაშ, მეც არახდროს არ მეყვარებია!

VI

და კვლავ ზღვის ზვირთებს შევეხმაურე:
 — თქვენ გადმოგივდებთ კუბოს ჩანგისას,
 თქვენ ერთად-ერთი იცნობთ მეგობარს,
 იცნობთ თავისად სულს მეგობრისას
 და წაიღეთ ის, ატარეთ, ვიდრე
 ცრემლად დიოდეს ღრუბელი ცისა,
 ვიდრე არ შესწყდეს უკუნისამდე,
 სულთქმა, სიცოცხლე დედა-მიწისა!

ღამე აზხაზეთში

დაისს შევესწარ, დაისსა,
ზღვა კამკამებდა, მზე ვითა,
ზეფირმა წამოუქროლა
ფრთების მსუბუქი რხევითა.

ოქროსმტევნიან ნარინჯებს
შეუცელქ-შეეკამათა,
აყელყელავდნენ ზეგნები,
ბორცვმა ქოჩორი ამართა.

შელამდა, სადღაც ჩიტუნამ
ცეცხლი მოინთო სტვენითა,
შეეხმატკბილა მეორე,
მისებრ მოქარგულ ენითა.

ასალამურდა ყოველი
ნაზი და ტკბილი ხმებითა,
სადღაც ხონობმაც იყივლა
იმითთან შეთანხმებითა.

ძირს ხმელეთს გავსცქერ, მაღლა ცას,
რომელი რომელს სჯობია?!
ცა ვარსკვლავებით, ქვეყანა
ზურმუხტად შენამკობია.



ვხედავ, რომ მოვარეც იღვრება
ნაკადულებად მუხებში,
ვსუნთქავ ბედნიერ სამშობლოს
უმშვენიერეს კუთხეში.

აგალობდა იადონი,
გადააწნა ჰანგი ჰანგებს
და მოუთხრობს ბაღ-წაღკოტებს
სიყვარულის მზიურ ამბებს.

ახშიანდა საღამურით,
მის ხმას ისმენს მთა და ბარი
და პასუხად ვიღაც უსტვენს
ხმატკბილი და ხმანარნარი.

გადაფრინდა ნართაულად
სიმღერები სიტყვაშეკული,
ხმა ხმას ესკვნის აფხაზურად
მორთული და მოკაზმული.

შეხმატკბილდა ორი სიმი,
სულსა და გულს შეემსჭვალა
და ორივე ფრთაშესხმული
ნარინჯებში მიიმალა.

აფხაზთ გმირი აბრასკილი

ძველებური ამბავი
(ნაწევები)

III

შიატოვა შვილმა დედა...
გაღიარა მან სოფლები,
მიმოვლო და ყველგან ნახა
მინდორი, თუ ტყე-ველები.
ხედავს, ბალახს მოჰრევია
მავნებელი რამ მცენარე,
ყნახს სინჯავს, — დაგვაღული,
მოჰრევია გვიძრა მწარე, —
გადალახა, გადაკაფა
ხე, მცენარე მავნებელი.
ხედავს, ტყეში დაწანწალებს
მავნე მწერი და ცხოველი,

სტყორცნის ისარს, სპობს და სრესავს
 მტაცებელთა სწყევტს ჯილაგსა,
 ყვეუ-ყორანთა, პირ-მყრალების მარცხენი
 ანადგურებს სინსილასა. ნიკაიოტოქა

.

ყველგან ცრემლის გუბეები,
 აქ ტირილი, იქ ხარხარი,
 აქ ცოლ-ქმარი უძრახავი,
 იქ ძმა-ძმაზე საკვლად მდგარი...
 თვითნებათა სტუქსავს და სჯის,
 ქვრივ-ობოლთა კი მფარველობს,
 ცოლ-ქმრისა და ძმასთან ძმისა,
 შერიგებას თვითვე სცდილობს...

IV

.

ჰკვირდებიან იმ ყრმის ფარის
 და შვილდ-ისრის მოხმარებას,
 აღიდებენ, შეამკობენ,
 შეახხამენ ქებათ-ქებას.
 აირჩიეს მმართველ მთავრად,
 მოწიწებით მორჩილებენ,
 ეპყრობიან ღირსსა ღირსად,
 ქვრივ-ობოლი, დაჩავრული,

ლატაკი და მწირ-შიშველი,
შეივრდომა დიდსულობით
და გაითქვა მით სახელი.



V

რაკი იგრძნო აბრასკილმა
ხალხისაგან თვის დიდება,
გაამაყდა, მოინდომა
განდიდება, გაღმერთება.
— „შემოქმედო! — შეუძახა:
არ ხარ ჩემი მბრძანებელი,
მე ვარ შენი ამხანაგი,
შენებრ ქვეყნის გამგებელი“.
წინ აღუდგა შემოქმედსა,
საქმით იწყო მის ურჩობა:
როცა სადმე მიმავალსა
გზას უღობდა ვაზთა რქობა,
ან ტოტები ურთი-ერთში
გადახვევით ჩაწმახნული, —
გაპკათავდა ხმალო-ხანჯლითა,
არ ვიდოდა მოღუნული.
— „სხეული რომ მოვიდრიკო,
ან დავხარო თავი დაბლა,
შემოქმედსა ეგონება
საღამს ვაძლეუ მე მას ახლა!“
ამ ურჩობით გამგებლობდა...

თვეებს სდევდენ მრავალ-წლები,
აფხაზეთის მტრებს ქარქაშში
დაუქანგდათ ხმალ-ხანჯლები.
ხალხში მხოლოდ მოისმოდა
აბრასკილის ხოცბა-ქება
იმკობოდა იმის ღონე,
სიჩაუქით მოქმედება...



.

რა იხილა შემოქმედმა
აბრასკილის ამაყობა,
ხალხისაცა გმირისადმი
პატივცემა და მიმხრობა, —
ჯერ ისურვა კეთილ გზაზე
ურჩი გმირის დაბრუნება,
გონს მოგება... მის თვისადმი
სამსახური, თაყვანება.
მაგრამ გმირი ქედს არ უდრეკს
განგებისა სურვილ-ნებას,
ის თავისში ჰგრძნობს ღვთაებას,
არ უცხადებს მორჩილებას.
რაკი ველარ მოიშორა
გმირის ქცევა მეტისმეტი,
გასწყრა და თვის წინ მოიხმო
ანგელოზი მან თორმეტი.
— მათ უბრძანა: „შეიპყარით
ხალხის გმირი თავ-გასული,
შებოჭეთ და იქ ჩააგდეთ,

სადაც იყოს ღრმა უფსკრული!⁴⁶
ანგელოსთა რა ისმინეს
შემოქმედის სურვილ-ნება, მარტინელი
გოგლიძისა
თაყვანი სცეს და გაბრუნდნენ
შეასრულონ ღვთის ბრძანება...

VI

ერთ დილაზე, როდესაც მზეს
ახლად სხივი ამოეყო,
ნამი ველზე აორთქლილი
საკმეველად აშლილიყო, —
აბრასკილი ჩრდილოშია
მწვანეზე ძილს მისცემიყო,
არ უწყოდა ღვთის ბრძანება,
დამშვიდებით, წყნარად იყო —
დილის ძილით განსვენებულს
ხმაურობა შემოესმა:
თავის რაშის ფრუტუნი და
ფეხით ცემა... ვილაცის ხმა.
გაიღვიძა... თავის რაში
ფაფარ-აშლით დასჭიხვინებს:
„ანგელოსნი დასაჭერად
მოგდევენო, — ნას აუწყებს, —
შემომჯექი!“ ზედ შეისვა,
ელვასაებრ გააქანა,
გამოსტაცა ანგელოსთა,
შავ ზღვის პირას მიიყვანა.
იქ ჩამოხტა, განისვენა,



რაშიც თავით სდარაჯობდა.
 და, რა ესმა ანგელოსთა
 ახლო მოსვლა, — კვლავ ვაქანდა
 მიაშურა ერცახუს მთის
 გამოქვაბულს, შეაფარა,
 იქ შემაღლა, რაში დაბლა
 სადარაჯოდ მოეფარა.
 ვეფხის ტყავზე, მხარ-თეძოზე
 აბრასკილმა ჰპოვა ბინა,
 მაგრამ რაშმა იმას მალე
 ჭიხვინითა აგრძნობინა
 ანგელოსთა შორი-ახლო
 გამოკრთომა, გამოჩენა;
 ზურგს მოიგდო თვის მხედარი
 და ვაქანდა შავ ზღვისკენა.
 ზღვის ნაპირას აბრასკილი
 მიმოვლობდა, ნადირობდა,
 ერცახუს მთის ღვიმეში კი
 ვეფხის ტყავზე ისვენებდა.
 ვერ შეიპყრეს ანგელოსთა
 რაში, გმირი თავგასული,
 დაეკარგათ მათ იმედი,
 დაუძმარდა ყველას გული.
 ეს შეიტყო აფხაზეთში
 ერთ თვალ-ჭრელა დედაბერმა,
 აბრასკილის მოშურნემა,
 მომძულვარე, დიდ ხნის მტერმა.
 მოვიდა და მოწიწებით

ანგელოსებს მოახსენა:
როცა ღონე კაცს ვერ კშველის,
ხერხის უნდა გამოჩენა...
ხართ ტყავები მოაგროვეთ,
გაქტონევით ცხვრის ქონითა,
დააფინეთ ღვიმის პირას,
ზოგნიც სდექით მუნ მალევითა.
და როდესაც გმირი რაშით,
ღვიმის პირას მოჰქანდება,
ვერ შენიშნავს რაში მახეს,
ტყავზე ფეხი წაუსხლტება,
სწრაფ მისცვივდით, შეიპყარით,
შეუბოჭეთ მას ხელ-ფეხი,
ვერ წაგივათ, დაგემონვით
გმირი ურჩი და უკმეხი...“
ანგელოსთაც ეს უნდოდათ.
დედაბერის დარიგება
შეისმინეს, გადასწყვიტეს
საბოროტო მახის გება.
ექვსი ზღვისკენ გაეშურა,
თავს დაესხა გმირთა-გმირსა,
მან გაიგო, გამოქანდა,
იქ გადურჩა გასაჭირსა.
მოატანა ერცახუს მთას,
აქ კი ბედმა გლახ უმტყუნა:
რამს დაუსხლტა ტყავზე ფეხი,
გაღიფაფხა, დაესვენა.
ანგელოსნი, დამალულნი,

სახქაროზედ გმირს მისცვივდნენ,
შებოჭვეს და მასთან რაშსა

ეკონუნელი
გიგლიძისა

რაღა კეთილს დააყრიდნენ?
კავკასიის უფსკრულ კლდეში
ღრმად ჩაარჭვეს ერთი პალო,
ზედ მიჯაჭვეს გმირთა-გმირი,
სანაქებო, უბადალო!

და იქავე დაუტოვეს
თავის რაში, გვერდზე ურო;
თავზე დაპფრენს აღარგანწუხვ,
ბოლო-ქნია ჩიტი მომცრო...
აწ საბრალო ამ უფსკრულში
მიჯაჭვეული აბრასკილი
წევს და სცდილობს ამოგლიჯოს
პალო კლდეში ჩარჭობილი.
მოამზვლევს და ოდეს სრულად
ამოძრობას ეპირება,
ამ დროს უცებ აღარგანწუხვ
ჯაჭვ-პალოზე დაფრინდება.
გულმოსული აბრასკილი
იღებს უროს, მძლავრად სტყორცნის,
უნდა მოკლას ის მაცდური,
მავრამ იგი უსწრაფ ელვის
აფრინდება... მოქნეული
მძლავრადა სცემს ურო პალოს,
იგი კლდეში კვლავ ესობა
და აკავებს გმირს საბრალოს.
ასე იბრძვის, ამ ტანჯვაში
სთვლემს, ღრმა ძილით ეძინება,

სანუგეშო მომავალსა
ძილში მყოფი ელოდება.



VII

...აფხაზეთი დამწუხარდა:
შეიმოსა ძაძით ყველა,
ქალ-დიაცნი თმას იკოხვენ,
ვაჟკაცთ გული გაეხელა.
ზარით მოსთქმენ დიდი, მცირე,
ღარიბი და დიდებული
აფხაზეთის ობლობასა.
ვიქნებითო დაჩაგრული.
„ვინ იქნება აბრასკილის
მაგიერი გმირთა-გმირი?
ოჰ, მამულო, ვინ გაშოროს,
მისებრ, მტერთგან გასაჭირი?!“
აფხაზთ მზენი, უტურფესნი,
ფანდურზედა მომღერალნი,
კაცთ შესძახვენ: „გაგვიკურნეთ
სულის ტანჯვა, გულის წყლულნი“.
ხმაშეწყობილ სიმღერებით
ცას შესთხოვენ, ტყვეს შემღერენ,
უსულოს და სულიერსა
გმირის დახსნას ავედრებენ...

.



აჰა, ერის მწუნხარებამ
ჭაბუკთ გული აუძგერა;
დასახსნელად შეემზადენ,
უნდათ სცადონ ბედის წერა...
თან წაიღეს თორმეტ ჯორით
გზის სანათად ჭრაქ-სანთლები,
ინათებენ უფსკრულის გზას
ბნელაშია, ვაჟკაცები...
სწვავენ სანთლებს, მიილტვიან
პერობილისკენ... მუხლი სწყდებათ...
ჰა, მოესმით — გმირის გმინვაც,
ახლოაო, ეჩვენებათ...
ერთილა აქვთ მათ სანთელი,
მოელიან... ისიც ქრება...
წყვდიადია... გზა არა სჩანს,
მგზავრებს გული უწუნდება...
კვნესა, კვნესა, გმირის კვნესა,
ახლო ისმის, მწარედ გმინავს...
— აბრასკილო! ეძახიან, —
ხმა მოგვესმის, გზა კი გვშორავს,
ალარა გვაქვს ჩვენ სანთლები,
გზას ვერ ვიგნებთ, ირგვლივ ბნელა!
აბა რა ვქნათ? გვასწავლევით,
თავს განაცვლებთ ჩვენ შენ ვველა.
— „მესმის, მესმის მე თქვენი ხმა,
ოჰ, ძვირფასო ჩემნო შვილნო,
გაბრუნდით და უკან წადით,
ვერ დამიხსნით, ვაჟკაც გმირნო:
რამდენათაც ახლოვდებით,

მე იმდენად თქვენ გშორდებით,
ასეთია უფლის ნება!



ქართული
საქმიანობა

ვერ დამიხსნით, უკან წადით...
წა, გაბრუნდით, ჩემს სამშობლოს
მოუარეთ, უპატრონეთ,
დაიცავით მტრებისაგან!
ეს ვედრება გამიგონეთ...
დამეხსენით, დამავიწყდეს
ჩემი პყრობა და მონება,
თქვენ მამული ჩემსავითა
შეიყვარეთ... ეს იქნება
ღირსი ღვაწლი, სამსახური,
მით სანაცვლოს მე მომიზღავთ,
შევბას ვიგრძნობ პყრობილიც კი,
წადით, ჩემზედ ნულარ ზრუნავთ...“
„მშვიდობითო!“ — მის გულიდან
მხოლოდ ესღა მოსკდა სიტყვა
და ნიაემა ჯურღმულიდან
შორს წაიღო გმირის გმინვა.

.
.
.



ლუშასპე და რიცა,
 ტბებზე ძეწნის ზილფი...
 ბზიფი, ბზიფი, ბზიფი...
 ლურჯი ავადპარა...
 მთვარე, მთვარე, მთვარე,
 მოხვალ? აღბათ, არა!
 ბზიფი, ბზიფი, ბზიფი,
 ლურჯი ავადპარა...
 პალმის ჩუმი ტოტი
 ზღვისკენ დაიხარა...
 მთვარე, მთვარე, მთვარე,
 და ზღვამ გაიხარა...
 მოიშორე ნისლი,
 ჩემო ავადპარა!



შავი ზღვის პირას

სამშობლო — ჩვენი სათაყვანები,
ჩვენი ოცნების ვრცელი ბაღნარი;
ზოგან გაშლილი ლურჯი ყანები.
ზოგან გასული ხეზე მალღარი.

შავი ზღვის პირას ევკალიპტები,
ნამდაფრქვეული აკაციები,
ტუნგოს ხეებზე გუნდი ჩიტების,
ოქუმის ჩაის პლანტაციები.

ჩაის ბუჩქებზე ჭრელკაბიანის
თლილი თითების სწრაფი თამაში,
ბუჩქიდან ბუჩქზე, როგორც ნიავი,
რომ დაფრინავდა ქალი ლამაზი.

ჩქეფდა ივლისი შრომის პანგებით,
ბაღში ზღვაური ქროდა შრიალა!

მზემ ოქროს ზღაპრულ ფარშევანგებით
ცის კაბადონი ვადაიარა.



ქართული
ბიბლიოთეკა

და პორიზონტზე რკალისებურად
ცამ მეწამული ზოლი მოხარა;
ოქუმს ოქრო და ვარდი ებურა,
იისფერ ნისლში ჩანდა კოხორა.

და გვაოცებდა ჭრელკაბიანის
თლილი თითების სწრაფი თამაში,
ბუჩქიდან ბუჩქზე, როგორც ნიავი,
რომ დაფრინავდა ქალი ლამაზი.

ქვემოთაჲსი კვეთილი

ქვემოთაჲსი
კვეთილი

შავი ზღვის პირად
სახლი ავაგე...

ჩემი სიცოცხლე და სიამაყე
ჩემი კერაა ჩემი მამული!
შავი ზღვის პირად სახლი ავაგე,
ხეების ჩრდილქვეშ ჭერმიძალული.

შავი ზღვის პირას, იქ სადაც ტალღას
შეეპარება თმაში ჭაღარა,
ქვიშა მოხვეჭა ზღვამ საიდანღაც
და გამჭვირვალე ფსკერზე დაჰყარა.

ფსკერზე დაჰყარა პატარ-პატარა
ქუთუთოების მსგავსი ნიჟარა,
ფსკერზე დაჰყარა, მაგრამ თითებით
მოვფერებოდი არ დამიშალა!

მიყვარს მე თვალი ამ კროლა კენჭის,
გადავიწყებულ ფიქრის ამწეწი!
მიყვარს, მოვარდნილ ტალღას რომ ^{გაქვინული} _{გაქვინული} ^{მწვანე} _{მწვანე} ^{მწვანე} _{მწვანე}
ძველი ქვითკირის ერთი ნამცეცი.

მას, შემოდლია, ზღვის გულში ჩავეყვი,
მისი მიწა და წყალი მწყურია,
იქ არის ჩემი ქალაქი წყალქვეშ,
იქ არის ჩემი დიოსკურია!

ისე, ვით მისი თანამედროვე,
ისიც დაღეპილ ფსკერზე დავიდა...
მაგრამ წარღვნათა შემდეგ მე მოველ
და წელთაღრიცხვას ვიწყებ თავიდან!

შავი ზღვის პირად, იქ, სადაც ერთ დროს
წყალმა წარსულის კვალი წაშალა,
ბედს უნდა ჩემი დღე შემახვედროს.
ჩემი გზა გასჭრა, ჩემი გზა-შარა!

ახალ ნერგების შრიალ-შრიალი
ხელგაშლით ახლა მეც აქ მამღერებს,
ჩემი დღე ამ დიდ შრიალში არი,
ჩემი დღე მალღა მიაქვთ ამ ხელებს!

ჩაძირულ თვალთა შუქს კი ვინ მოჰკრებს,
ზღვის გულში დელვას რომ ჩაჰყოლია,
ხანდახან ზღვა რომ ამოიოხრებს,
მე წინაპრების სუნთქვა მგონია!

და წამით გულიც შეკრთება, მაგრამ
წარღვნით წართმეულ წუთს არ მივტოვებ,
მომავალ დღისა და ღამის გაყრამ
ვერ უნდა შესძრას ჩემი ქვიტკობი.

მე სხვა იმედით თვალს ვერ გავახელ
და მომთაბარედ ვერსად ვერ წავაღო...
შავი ზღვის პირად სახლი ავაგე,
კოლხეთის ერთი მკვიდრი მეცა ვარ!

აფხაზური სიმღერა

ვინ იმღერა პირველად
„ვარაიდა-ვარადა“?
ვინ აქცია მუღმივი
თოვლი ნიაღვარადა,
ვინ იმღერა პირველად
„ვარაიდა-ვარადა“?

ვინ იმღერა... ვაჟკაცის
ტკივილმა თუ ხალისმა?
აფხაზური სიმღერა
ქვეყნად როდის გაისმა?
ვინ იმღერა... ვაჟკაცის
ტკივილმა თუ ხალისმა?

გულით მსურდა გამეგო,
გული მქონდა იქითკენ,
ღამით სად არ ვიყავი,
ღლისით სად არ ვიკითხე,



ცაზე ბინდი წავშალე,
ზღვაზე ნისლი დილისა,
მთაზე ლექსიც ვიპოვნე
ჯიხვზე მონადირისა!

ბოლოს ხევ-ხევე მივაგენ,
ხევისწყალი უყეფდა,
ტანი მძიმედ მიეგლო
ათასწლოვან მუხებთან.

იწვა გმირი ჭაბუკი
წაქცეული მთასავით,
ავი თვალიც მენიშნა —
სვავი იყო ფრთაშავი!

— ვაი, რა დღე დაჰკარგე
მონადირე ვაჟკაცმა,
ღამეც გადაგითეთრა
ვარსკვლავების კაშკაშმა!

ცამდე ამოგვიყვანა
ჯიხვის ნაფეხურებმა, —



ჯიხვი ისევ მთაზე დგას,
ნუთუ არ გვეურება?!

ღრუბლებს დასდევნებია
შენი მშვილდის ისარი...
გახსენ თვალი, სინათლე
ისევ შენი მზის არი!

აღსდექ, ნუთუ საკუთარ
მუხლს ვერ ჩაეჭიდები,
ხედავ? რივის ქვებივით
დაგისივდა თითები!

მუხლისთავი მარცხენა
შხამით ისევ სველია,
იქვე, შენი ჩამუხვლით
გასრესილი გველია,—

სწორედ მაშინ დაგასწრო,
სწორედ მაშინ გაწამა,
როცა დამიზნებულმა
თვალმა დააწამწამა!

აღსდექ! ისევ გჯეროდეს
შენი სიჭაბუკისა,
ხედავ? მოჰქუხს მდინარე,
მოაქვს მორი მუხისა.

მხარით ისე გაგიყვანს,
ჩაგატარებს ხეობას,
რომ ეგ შენი ვარამი
მისწვდეს მოსახლეობას!..



ასი ძმა გყავს, ასივე
 ძმურად მოგეშველება,
 აღსდექ, სიკვდილს გადაარჩენ
 იქნებ შენი მშვენება!

...აღსდგა მძიმედ ჭაბუკი,
 მორს ჩაბლუჯა თითები,
 და დაეშვა მდინარეც
 ზვირთებნაჯირითები!

მიდის, მიდის, ხვედახვევ,
 სახლ-კარს უახლოვდება,
 მაგრამ როგორ იკადროს
 გმირმა კვნესა-გოდება?!

მიდის, მიდის მდინარე,
 უკვე სოფლის წინ არის,
 მაგრამ ყურს რით მიიბყრობს
 მუნჯი რბენა მდინარის.

ვაეკაცს პირზე ღიმილი
 მუდამ უნდა ეფინოს,
 და ამ შორი ღიმილით
 ხალხს რა გააგებინოს!

უხმო წუხილს არავინ
 არ გაიგებს არა და...
 გულს უეცრად აღმოხდა:
 „ვარაიდა-ვარადა!“

ეს არც ჩუმი თხოვნაა
და არც შმაგი ძახილი,
და არც ღონეწართმეულ
კაცის გმინვა დაღლილი!

არც სიკვდილის შიშია,
მხდალს რომ კვნესით ამხელდეს,
ასე მხოლოდ გაბედულს
შეუძლია ამღერდეს...

ასე ისმის ყოველთვის
„ვარაიდა-ვარადა“,
მოგონილი საკუთარ
სიმწრის დასაფარადა.

ამ სიმღერას განაბვით
კაცმა როგორ უყუროს,
აქ შავ კლდესაც ვერ ნახავ
ისე ყრუს და უგულოს —
მთიდან მთას არ გადასცეს,
ცად არ დააგუგუნოს!

ასე ისმის ყოველთვის
„ვარაიდა-ვარადა“,
დაუძლეველ მეზრძოლის
ბედი შემაყვარა და
როცა ჩემი დღეებიც
გარბის ნიაღვარადა —
მინდა მხოლოდ ვიმღერო
„ვარაიდა-ვარადა!“

რიწის ტბა

დღესაც ამიკლო, ამიშალა გულმა საგულე,
ავეევ, წამოველ, — უნდა გრძნობით
გესიყვარულო.
ჰაი, სირცხვილო, რომ აქამდე ვერ
გინახულე,
ჩვენი ქოჩორა მთების ცრემლო და
სიხარულო!

რად არ დარჩებათ გული შენთან შენგან
წამსვლელებს,
ვინც ვერ გწვევია, შინ გიმღერის
გულდაწვევტილი.
სიზმრად ნახულო, ჯადოსავით არ მომასვენე,
მოველ, გიხილე ნადულარი და დაწმენდილი.
ახლა გავიგე, რით აოცებ, რიწავ, მნახველებს,



რისთვის გამხდარხარ სასიმღეროდ და
სალიბრეოდ

ნუ აცქრიალდი, სილამაზით ნუ გამახელე,
ჩვენი ქოჩორა მთების ცრემლო, მიწის
ლიმილო!

შენი გედი ვარ, მოაშორე ნაპირს ნაკები,
შემოვცურდები, უფრო იგრძნობ, რა წვაც
გულშია.

ცისკრის ვარსკვლავი, მაგ ტალღებში
ნაბანაკები,
ისე წასულა, ტანზე ცრემლი არ შეუშვრია.

ის დალოცვილი აღბათ ისე მიტომ ციმციმებს,
განთიადებთან სასოებით გადაჭდობილი.
მეც დამავიწყე ქვეყნიური ზრუნვის სიმძიმე,
ჩემი ცხოვრების კარზე შობილი.



მ ა მ ა

ბაღადა

წებალდას რომ ვასცილდები
და რომ ვახვალ ჩხალთას ზევით,
ქლუხორისკენ ბილიკია —
მარჯვნივ მთა დგას აღმაცერი,
სამად-სამი ოდა არის
იმ მთის კალთის დამამშვენნი...
და ცხოვრობდნენ იმ ოღებში
სამნი ძმანი აფხაზები.

სამნი ძმანი აფხაზები,
სამივ მხნე და გულმართალი.
სამ ძმას სოფლის ჯოგი ჰყავდა
საერთო და უთვალავი.
დილით მთებში მიჰყვებოდნენ
რქადაგრეხილ მაღალ ხარებს:



ბევრი ღამე გაათენეს,
ბევრი დღია დააღამეს,
სახლში მამა მიელოდათ —
ოთხმოცი წლის ბერიკაცი,
და ბუნხრისპირ დაკიდული
ანწლის არყით სველი ყანწი.

როცა კლდეში საღამოვამს
იბუღებდნენ არწივები,
ოცნებათა გაბრწყინვებით
ბრუნდებოდნენ სახლში ძმები.
მამა, წლებმა ფართო მხრები
მშვილდივით რომ გაულუნეს,
ბუნხრის პირას, საკარცხულში
იჯდა როგორც საუკუნე...

ხან მოსთვლიდა ლექსებს ჩანგზე,
ძველ, ძველ ჰანგზე მოლილინე,
ხან მარცვლავდა კრიალოსანს,
ხან ითვლიდა ჩოხის ქილებს...
და ჰყვებოდა გმირულ ამბებს
სევდითა და სინარულით...
შვილებს გულში ჩაუსტამბა
საქართველოს სიყვარული.

* * *

ერთ დღეს მწუხრის ფერი მოჰყვა
ათასცხრაასორმოცდარს,



ქართული
ბიბლიოთეკა

და შესძახეს ძმებმა ზეცას:
ეს რა ნისლი ჩამოწვიაო.
ო, მათ სწამდათ — საქართველოს
მთებს ბნელი ვერ დაჰფარავდა
და სამშობლოს სიყვარულით
თვითონ სწერდნენ ამ ბალადას.

ძმებმა თვალი გააყოლეს
ელვას მთებზე გადატეხილს:
საქართველოს მიწა-წყალზე
გერმანელმა დადგა ფეხი.
ქლუხორიდან მიცვიოდნენ,
ფსხუმდე კლდეთა ნაფლეთები
და შურთხებმაც სამხრეთისკენ
გადიფრინეს დაფეთებით.
კურატებმა მთებს გაჰბლაელეს,
მიწას ჩხვერდნენ მუნღლი-ჩოქით...
შეშფოთებით, აჩქარებით
ჩამორეკეს ძმებმა ჯოგი:

— ჰაუ, გესმის მთების გრგვინვა —
მამავ, უნდა გავიხიზნოთ!
ან იქ, ბარში გადვიხიზნოთ,
ან აქ მთაში გავისრისოთ!..
და ბლაოდა თითქოს ჯოგიც:
— გავიხიზნოთ!..
— გავიხიზნოთ!..



მაშინ შეჰკრა მამამ წარბი
და სთქვა: წუთით დამაცალეთ,
ჩრდილოეთის აივანზე
საკარცულში დამაბრძანეთ,
აღარ მთხოვოთ შეგაფერხოთ
ბერიკაცმა უსინათლომ,
გამიტენეთ ცხრა დამბაჩა
და დამტოვეთ ასე მარტო.
და ბრძანებაც დაიხსომეთ —
შესრულებით გავიხარებ:
სოხუმისკენ გადარეკეთ,
მოკლე გზებით გადიევიანეთ,
ქართველ ლაშქარს ჩააბარეთ!
დე, მტრის ძლევაც მოგვახაროს
და ეგ ჯოგიც ჩვენი ქვეყნის
გამარჯვებას მოახმაროს...
შედგნენ ძმები... ჯერ ერთმანეთს
გადახედეს გაფითრებით...
მერე — მოხდა მოსახდენი
და დაეშვნენ ღამის ფრთები.

* * *

— ჰაუ, ძმაო, მარჯვნივ გადი,
თორემ დგება ღამე ბნელი:
ჩხალთისაკენ უგზო გზებით
ინევ გზა გვაქვს საძებნელი...
ჰაუ, ძმაო, ფლატის პირას,
რქა არ დაგკრას, — ნუ დადგები!

მიბღაჳიან გზაზე ცხვრები,
მიწას ჩხვერუნ კურატები.



სადღაც ხრამში დედა დათვმა
და ბუღებმა გადირბინეს,
შავი კლდისთავს წრეს რომ ხაზავს,
ნეტა, რა სურს ღამის ფრინველს!
ან, ნეტავი, ეს რა ხმაა,
ვინ ისროლა ბნელში თოფი,
ჰე, მშვიდობით აფხაზეთის
ლურჯო მთებო, ჰე, მშვიდობით!..
კვლავ გავარდა ასი ტყვია
და ძმებს უცებ შეეფეთა
შავს კლდეში და შავს ღამეში
შავი რაზმი გერმანელთა.

— დაგვმორჩილდით!
— დაგვმორჩილდით!
— ჰაუ, ძმაო, არ დანებდე!
მამამ ასე დაგვიბარა:
სოხუმისკენ გადარეკეთ...
ჰაუ, ძმაო, არ დაუნებდეთ!..

მავრამ ბნელში ავტომატის
ასმა ლულამ გაიცინა,
გაიელვა ელვამ ცაში,
ასმა ტყვიამ დაიწივლა...
ო, მათ სწამდათ — საქართველოს
მთებს ნისლი ვერ დაჰფარავდა



და სამშობლოს სიყვარულით
 თვითონ სწერდნენ ამ ბალადას;
 მოაბრუნეს მყისვე ჯოჯი
 და ბნელ ხრამში უქნეს პირი...
 და როდესაც ქედებს დილის
 დაეფინა შუქ-მერდინი,
 რქებზე ისხდნენ ყვაფ-ყორნები,
 და ხრამიდან, როგორც ნისლი
 აღიოდა ოხშივარი
 პირუტყვის და კაცის სისხლის.

* * *

გარდასულა შავი ნისლი
 და კვლავ მზეში დგანან მთები:
 წებელდას რომ ვასცილდები
 დღესაც ვახვალ ჩხალთას ზევით,
 ქლუნხორისკენ ბილიკია,
 მარჯვნივ მთა დგას აღმაცერი,
 შუალამით გარინდული
 სდუმან მთათა დარბაზები
 და ყოველლამ მეორდება
 ეს სურათი ამაზრზენი:
 მორეკავენ ძმები ნახირს
 და მორევში შესდენიან,
 მერე მწუნრის ჩრდილებივით
 დიდ ლოდებთან ჩერდებიან:
 — ჰაუ, მამავ, გამოგვხედე,
 გვაბატიე — ნუ გვემდური!



შინ ფარანი დაგვრჩა, მამავ,
ღამე არის უდაბური...
მიწას ჩხვერენ კურატები,
ჯოგი გაბმით აბლავლდება,
აბლავლდება და როდესაც
კვლავ ღუმელი დამყარდება,
დიდი მთები საკარცხულის
გამოსცემენ გაბმით ჭრიალს,
წამოდგება ბერიკაცი —
სადღაც ხირიმს გაისვრიან
და ღუმელში მის ბოხ ხმაზე
შორს ჭრაქებიც კანკალებენ:
— სოხუმისკენ გადარეკეთ!
— სოხუმისკენ გადარეკეთ!

მრელი ყაბალახები

წებელდა რომ გავიარეთ,
ჩხალთას ზევით ავეყვით,
ზემო-ლათას მოგვეწივნენ
თვალციმციმა ბაღლები.
თოვდა, თოვდა, ქლუნხორისკენ
ვროვდებოდნენ ჯანდები...
მოგვეწივნენ თვალებფართო
თვალციმციმა ბაღლები,
და აფხაზი ქალების
ხელით ნაკანკალები

ჩაგვაბარეს, —

გაგვახარეს

ჭრელი ყაბალახებით!



ქართული
ბიბლიოთეკა

მეთაურმა გაგვაჩერა:
დროა დაბანაკების,
პოი, როგორ გიხდებოდათ,
ძმებო, ყაბალახები!
პოი, როგორ განარებდათ
იმ დედათა სახელი,
ვინაც კაბა განზე გასდეს —
ქსოვეს ყაბალახები...

ჯარისკაცი ჯარისკაცსა
მარტო ვეარით ვიცნობდით,
ჩიჩბას ბიჭის, არშბას ბიჭის
სახელი არ ვიცოდით...
კომკავშირულ სიმღერაზე,
გასროლაზე გიცნობდით!
ასე გაჰყვნენ დღეს დღეები —
გადიკრეფენ ჯანლები:
ჯერ ქლუხორთან დაიძენძენ
შავი ბაირაღები,
მერე, ახლოს მოახლოვდნენ
აფხაზეთის ბაღები —
შავს კი არა — ლურჯი ზღვისპირ —
ჭრელი ყაბალახები...
ჭრელი ყაბალახებია



ქართული
ბიბლიოთეკა

მშობლიური ბაღები,
ცამდე აგვიმაღლებია
საქართველოს თაღები.
აფხაზეთის მიწა-წყალზე
გაზაფხულის იმედით
თებერვალში დახეთქილან
სააპრილო კვირტები...
ჰოი, საღ ხარ, ჩინბას ბიჭო,
არშბას ბიჭო, საღა ხარ!
კოდორს იქით,
კოდორს აქეთ,
თუ ბზიფისწყალს გადაღმა!
ჯარისკაცმა ჯარისკაცის
მარტო გვარი ვიცოდით,
ღამანახვა თქვენი თავი—
ქუდს ზეცისკენ ვისროდი —
კომკავშირულ სიმღერაზე,
შეძახილზე გიცნობდით.



ა ზ ხ ი ა რ ც ა

ზღვის და მთების მომღერალო,
რომ სწურავდი ცრემლს, ხან ბაღღამს,
დღეს დამშვენდი ხალხის გულზე,
ვარდი შენ ხარ, თქროს ტაღდაც!

სულ მესმოდა შენი თრთოლა,
შენი ჟღერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმავ, ხმაღამტკბარო
აფხაზურო აფხიარცა!
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!

წყალი მიდის წყალისაკენ
და ძმობილი ძმობილს ეძებს,
მეგობარო ძველისძველო,
გული თაფლით შემიწებე!

თურმე შზის და ხალხის შორის
დიდი, დიდი თოვლი იდო,
ცამ რაც ნამი ჩამოყარა,
წინაპართა ცრემლი იყო!



ქართული
ბიბლიოთეკა

გვეყო, გვეყო, რაც წარსულმა
ყანა დაღმა დაგვიფარცხა,
ჩვენს აკვანში ვარდი ჰყვავის,
მზეში სცურავს ჩვენი ფაცხა.
ერთად ვღერდეთ, როგორც არსად
ფანდურო და აფხიარცა!
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!

რ ი წ ა

ბაგრატ შინკუბას

რიწა.

რიწა.

რიწა.

დალის ლურჯი თვალი,
მწვანე დედამიწა,
მთების ვალაყანი.

ოცნებათა ღმერთი
უხსოვარი ხნისა,
ღალით სავსე მკერდი —
ვარსკვლავების ქისა.
რიწა, ლურჯი რიწა,
გამჭვირვალე ფსკერი,

კალმახების ძიძა,
ჩქარზე-ჩქარი ჩქერი.
მსურს ვარსკვლავად ვიქცე,
შენთან მალიცლიცა,
ამაქროლუ ცისკენ,
რიწა, ჩემო რიწა!



ქართული
ბიბლიოთეკა

მძინავს,
ვეხიზლობ,
მძინავს,
შენსკენ მოვიჩქარი.
რიწა, ჩემო რიწა,
ჩქარი, როგორც ქარი.

მოვიპარავ, შემშლი,
რიწა, დედას ვფიცავ;
ჩემი ხელის პეშვში
ჩაეტევი, რიწა.

სიბერეში, გვიან,
რომ მომითხოვს მიწა,
მიწას დააყრიან
ჩემი კუბოს ფიცარს.

ვარსკვლავები ზეცას
მოწყდებიან მაშინ,
აღმოვხდება კენესა,
ტალღის დაღაღს გაშლი.



ქართული
ბიბლიოთეკა

აღელდები, ვიცი,
შენც დაიწყებ გლოვას,
ვერ დაგაყრი სიცილს,
შენთან ველარ მოვალ.

ჩემო გულის ძვერაჲ,
შენს სიწმინდეს ვფიცავ,
ჩემ საფლავზე, მჯერა
წვიმად მოხვალ, რიწა!



ა ვ ხ ა ზ უ რ ი

ხალასი ვარ, აღმასი ვარ, დედისერთა
 ლამაზი ვარ,
 მე ლაფშაზე არა ვზივარ, ქარს გავაფრენ —
 გავაზი ვარ.

არ გეგონოს: ძალაზე ვარ, ან ჩერქეზი, ან
 ლაზი ვარ,
 არა დაო, აფხაზი ვარ, მურზაყანის მალხაზი
 ვარ,
 არც ისეთი ლამაზი ვარ, არც ხალასი
 აღმასი ვარ,
 მაგრამ მაინც აფხაზი ვარ.

ოჯახი მაქვს ძალიანი, თღა ცისფერთვალიანი,
 ეზო ფართოხალიანი, ბაღი ფორთოხალიანი.

ნაღია, ვით ბროწეული, სკდება იმ წლის
მეწეულით,
მყავს ჯეირანთ ოცეული, შემოსილთ
მოწეულით.

ტახტი მიდგას ქონგურისებრ,
ტახტზე კიდევ ჩონგური წევს,
სატრფიალო და საკრაფი, ხშირად გულში
ჩასაკრაფი.

ჩემი ბედი შენ ყოფილხარ,
საქორწინოდ შემკობილხარ.
სხვა სიმდიდრე აღარ მინდა,
აღარ მინდა შე მზითუვი,
ჩემი სოფლის ხვაეიც მყოფნის,
სახლში ძლივსლა ვეზიდები.

პაიტ, ჩემო აფხაზურავ, გასჭერ ქარი
აღმასურად,
ხიდზე გადი ჯამბაზურად, წაგოვმანდი
მალხაზურად!

წადი, ნულარ გეხათრება, ეს რა ჯადო
გეხლართება?
ფეხს ნუ აღვამ, — ალაღია, ეს დაიას
დალაღია.

განა ვიმტრო დაიამა, ჩემმა ვარდმა და იამა,
გაგაჯავრა დაიამა და მით გული დაიამა!

მომყავს ჩემი თეთრი ქალი, თვალფირუზა,
მკერდფიქალი.

სამეგრელოს ბაღნარიდან, ოჯალეშის
მაღლარიდან, —
ჰე, რა სიმწრით, რა სიავით მოვიტაცე
ეს ნიავი!



ა ზ ხ ა ზ ე თ უ ი

დავშორდი ქართლის გადამწვარ ველებს
და იმერეთის მხარეს უცნაურს.
ოქროს წვიმები მიწას ასველებს,
მეც ვუსმენ ოქროს წვიმების ხმაურს.

დავტოვე ფოთის უსაზღვრო სევდა
და მარტოობა დიდი გემების,
როცა ღამეებს მწუხარედ ხევდა
რისხვით მქუხარე საყვირის ხმები.

როგორც სიცოცხლე, როგორც აღერსი,
ისეთი ტკბილი იყო ჰაერი;
მათრობდა გრძნობა უმხურვალესი
ჩემთვის უცნობი და სხვანაირი.

ვით შევარდენი ჯერ დაუგეში,
ისე ითხოვდა გაფრენას გული,

მხოლოდ ზღვა იყო ჩემი ნუგეში
და მისი სივრცე გადაკარგული.



რამდენმა ფიქრმა, რამდენმა ვანცდამ
დაიმორჩილა ოცნება მაშინ,
როს თვალი ნაცნობ ნაპირებს ასცდა
და მზე ჩასვენდა ანთებულ ზღვაში.

როგორც ირემი მკერდში დაჭრილი,
გაღმთვარდნილი მთებიდან ბარად, —
მე ზღვის სივრცეში ვიყავ ვაჩრილი
და მარტოობა მიმქონდა ფარად.

მენატრებოდა, მსურდა მენახა
მხარე უცნობი, მხარე ზღაპრული;
მე ეს სურვილი შემომენახა
ჩემს ბავშვობიდან გულში ჩაკრული

და როცა შორით ცისფერ ტალღებში
ნაპირი მწვანედ ამოიმართა —
მე თითქოს ვილაც შემიდგა მხრებში
და გული ვაჩდა ზღვასავით ფართე!

ზვირთების სუნთქვა მარილიანი
სახეში მცემდა და გულს სწვდებოდა,
და აფხაზეთი ოქრომზიანი,
როგორც სიზმარი, ჩემს წინ დგებოდა.

და მშორდებოდა, ვგრძნობდი თანდათან
ყოველი ფიქრი, ყოველი სევდა...
თითქოს ვიდექი მედეას ბაღთან, თითქოს
თითქოს ლაფეარდი მირონს მასმევდა!

შორს, სადღაც სჭექდა არგოს საყვირი
და, გათანგული სისხლით და მზითა,
შინ ბრუნდებოდა ელინთა გმირი —
კოლხეთის ოქრო გაქონდა ტვირთად!

ბრწყინავდნენ მთები, გამდნარი მზეში,
ნიავი სურნელს ფანტავდა მძაფრად,
შუქი სისხლისფრად სწვავდა სივრცეში
არგონავტების გაფრენილ აფრას.

აქ მოხდა, აღბათ, ნურადინ-ფრიდონ
და ტარიელის შეყრა პირველი!
აღბათ აქედან ქაჯეთს გაფრინდა
წერილით ზანგი გასაკვირველი,

რომ წამოელთ შორიდან ამბად
პირბადის კიდე — ტრფობის ნუგეში —
მსუბუქი, როგორც ღრუბლების ბამბა,
ამონაწები ცრემლის გუბეში.

ვინ არ ყოფილა სიცოცხლის მდომი,
მიწას ცახცახით არ დამნობია!
ან რომელ ვაჟკაცს, რომ იყოს ლომი,
გული ცრემლებით არ დაღმობია!

და მეც ხომ მხოლოდ ვარ სიყვარული
და ამღერება ქართული მიწის!
ზეციდან ოქრო გადმოღვარულა
და ჩემი ტანიც ოქროში იწვის!

მეც ხომ იგივე გრძნობა მაწვალებს,
და შინდა ვიყო ველად გაჭრილი!
მეც სიყვარული მიბრმავეს თვალებს
და სასიკვდილოდ დღეს ვარ დაჭრილი.

მაგრამ მადლობით სავსე ვარ, რადგან
მიწაზე გავჩნდი, როგორც სულდგმული,
რომ დღე ნათელი გვირგვინად მადგა
და ზეცა მქონდა გულში ჩადგმული!



დიმიტრი გულიას

მშფოთვარებაში დინჯი
და გამართული ბიჯი,
შენ შენი გრძნობის ნიჭი
და შენი საქმე გაქებს.

ვიყვარს სამშობლო — ერი,
მშობლიურ დროშის ფერი —
რომ განადგურდეს მტერი
ნასაფრებული ჯაგებს.

იმ არსებობის გული
ხელოვნებაა ბრძნული,
ვეფხისტყაოსნის სრული
გზით მიცემული ჰანგებს.

ხან უმძაფრესი, ხან კი
ტკბილი, ვით ზეცის ბანგი —

მხნე, აფხაზური ჩანგი —
შენ შენი ჩანგი ვაქებს.



შესდგა ცხენი

შესდგა ცხენი.
მზეზე ბზინვა ბზიფის,
ღელვად მისღევს
ყვავილების ბიბინს.

მაჭახელის —
მცნობი მუსაიფის,
მონადირეც
მისღევს ბზიფის კიბეს.

ფერადია
სამოსელი ბზიფის —
ხონობივით
მშვენიერი ღიბის.

ცისარტყელათ
შუა, იმა კიბეს,
სდგას ირემი...
ხელი ხიბლავს ბზიფის.

სურნელება
ღბილი თივის თიბვის —

აი რაა

დილა მზიურ ბზიფის.



ქართული
ბიბლიოთეკა

და მტევნების
სულ მწიფეზე მწიფის
მსგავსებაა
ჩუქურთმები ბზიფის.

ჰანგი ესმის
ბზიფის სიირიბეს —
დოვლათისა,
არა სიღარიბის.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! —
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.

მომენატრა მზე, სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც ვრცელია.

მომავებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა

გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი;
მომავებე მშობლიური გემი,

მომავლებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან.



აფხაზეთო, აფხაზეთო

მრავალ მხარეთ მოგზაური,
მისავალზე ძველი ცხუმის
მიდის ერთი მეზღვაური,
მღერის და ბედს არ ემდურის.

მეც გემზე ვარ. უამინდო
ნისლი ჩემთვის არის მდელი,
აფხაზეთო, აფხაზეთო,
სულზე უფრო საყვარელი.

მშვენიერი ირგვლივ არის
ლურჯი წყალი, მწვანე ქედი,
და პონტიის არემარეს
შვენის გემი „აფხაზეთი“.

ყოველი მხრივ საიმედო
ღუზათა სჩანს კვალი-ღელი...
აფხაზეთო, აფხაზეთო,
სულზე მეტად საყვარელი.



ქართული
ლიბრარია

სადღევრძელოსთვის სიტყვის თქმის შემდეგ
 მომეცი, თამადა:
 შემკობად თინათინისა ამ სასმისს ვსვამ
 თამამადა,
 ვის მკერდზე გადმოფენია ნაწნავი ცხრა
 სამ-სამადა,
 ვისი თავხურვა ყოველგვარ თავხურვას
 შეეკამათა,

და წარბ-წამწამი ყველასი არ ღირს მის
 წარბ-წამწამათა,
 სახის კანს საღაფისფერსა მზემ შუქი რამ
 მიამატა,
 ტანსარო, აღვა ასულო, მშვენებავ მარად
 ჟამადა,
 ვინ მზესა სწუნობს, მაგრამ მზე
 თინათინებდეს მარადა.

ვუსურვებ: ჰქონდეს სიმხნევე ფუძედ და
 დასაბამადა,
 მშვიდობიანი ცხოვრება რომ არ
 შეცვლოდეს შხამადა,
 და აფხაზური ბევრი რამ, სიბრძნეთა და
 სიამეთა,

ის კარგი დარბაისლობა, უღირდეს ძვირფას
ვარდ-ყვავილებით მოერთოს ველი, <sup>რამედა,
ეკონომული
მცველი</sup>
შლამადა.

„სამშობლოსათვის მაცოცხლეთ!“ —

მვედრები იყოს ამაღა,
მომხდურებს რომ წახდენოდეს რბევის
სურვილი და მაღა,
მტერზე მიმსვლელი მენახოს, ქალი იძახდეს:
„ჰკა მათა!“

აფხაზნი ქალნი გმირთ ზრდიდნენ,
შემმუსვრელთ არამგამათა...
მაშ, ერთი ძველი სუფრული, სთქვი —
„ჩარდა ამთა“, თამადა!

* * *

აფხაზეთის წვიმა მიყვარს,
იცი რად?
მგოსნის ხმა აქვს, როს ფოთლებზე
ხმაურობს.
ქღერს მაისის მწვანე ჩანვი
და წკირად
მასზე ზვირთი დადის და
მოვზაურობს.
მიიმღერა, მიიმღერა
აქ ხვითომ...



აფხაზეთის წვიმა მიყვარს
ამიტომ...

წვიმა მოდის, კოკის პირით
იღვრება,

ხმა შრიალებს დაუნისა და
ლიანის,

და ღრუბლიდან ეშხით
გადმოიხრება

მოგონება სიყვარულის
მზიანის.

მიიმღერა, მიიმღერა

აქ ხვითომ...

აფხაზეთის წვიმა მიყვარს
ამიტომ...

ო, შუშხუნებს ახალგაზრდა
მაჭარი,

ის ხმაურობს, ის განიცდის
თავის დროს,

გამოვიდეს რომელიმე
ვაჭარი

და ამ წვიმის პოეზია
უარყოს!

მიიმღერა, მიიმღერა

აქ ხვითომ...

აფხაზეთის წვიმა მიყვარს
ამიტომ...



რუსთაველის სტრიქონების
მძაფრზე-მძაფრი წყება;
აფხაზეთი... სად მგოსანი
ერთგულ მთარგმნელს ხვდება.
ამ შეხვედრით ერთურთს

სწვდება

თავდადება, გზნება —
დიდი დროშა, სიყვარული
და ურყევი ნება.

* * *

აქ ხილულ ოცნებას
თან სდევენ ჯაღონი,
თოლია ქორსა ცელის,
არწივს — იადონი.
ორ საწყისს ინახავს
ახალი ათონი, —
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

აქ მუხა შრიალებს,
იქ ზეთის ხილია,



ქართული
ბიბლიოთეკა

თუ ზღვის და ზღვის პირის
მძაფრი ჭიდილია —
გზნებასთან მზის ჩასვლის
პყვავის იდილია, —
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

უწესო აყრუებს
უბადლო ზრდილობას.
ბუკის ხმა ზღვის პირას
თუ იწვევს ყრილობას,
მეომარს ჩონგური
უამებს ჭრილობას, —
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

ომსა ცელის მშვიდობა
და ნგრევას — შენება,
სიტლანქეს სულისას
ცელის სულის მშვენება,
წყალს — ღვინოს, დღეს — ღამე,
სიცხადეს — ჩვენება,
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი...



ღრუბლები შორი, აფრები შორი
ახლო ხმაურობს ჩქარი კოდორი,
აგე, კოდორით აფრინდა ქორი —
აიქვს სისწრაფე... მერე როგორი!

და როდესაც ზღვას სწვდება ეს თქორი,
მსწრაფლ დადინჯდება ჩქარი კოდორი.
მირსევა მდორე, ტალღებიც მდორე
და დამშვიდების ზვირთი მეორე.

არა ამაოდ დუღდა კოდორი,
არა ამაოდ გასჭრა მთა-გორი.
იმ დროის არა ერთი და ორი
დარჩეს სიბერეს ხსოვნა-ამბორი.

მოგონებების არის ეს ტბორი:
რა ბედნიერი არის კოდორი!

ა ფ ხ ი ა რ ც ა

აფხიარცა! როგორ ჟღერდი,
როგორ ჟღერდი, აფხიარცა!
დამმარცვლელი ქუდზე კაცის
მსგავსი იყო შენი არცა.

როცა მტერი ზღვას ვადმოსცდა,
მოიწია და, ვითარცა
ნიაღვარმან, ინაცვლა გზა:
შენ ზარს სცემდი, აფხიარცა!



ძარცვა ბევრი გისმენია,
მაგრამ იმნაირი ძარცვა?
ვერცა მიწა და ვერცა ცა
მსგავსს ვერ ჰგონებს, აფხიარცა.

დაინაცრა მისი ხსოვნა,
ვინაც მხარე ცეცხლს ვადასცა,
თავს დაესხა ის აფხაზეთს,
როცა მხარე მოიქანცა.

ოდეს გმირმა არ ისურვა
და თაყვანი მტერს არა სცა,
როგორ თრთოდი, როგორ ეღერდი,
როგორ ჰქუხდი, აფხიარცა.

მტერი თვისი მოყვრად არ სცნა,
ბევრჯერ მწარედ დაამარცხა,
ბევრჯერ ტანში გასცრა მომხდურს,
სასიკვდილოდ დაენარცხა.

ღრიანცელით მოგრიალემ
ვერ იფარცხა მისმა ფარცხმა,
სასახლეზე არ იცვლება
მაღალ მთაზე მღვარი ფაცხა.

და ფხიანი ვეფხის ნახტომს
კგავდა მისვლა მისი აწცა, ეროვნული
სიზლირობა
ბევრის, ბევრი გარდასულის
მომთხრობი ხარ, აფხიარცა.

აფხიარცა, აწ ბუმბერაზ
ზღვის გვიმლერე კიდევ რამცა,
სიყვარულზე, გმირობაზე
ავუგუნდი, აფხიარცა.

აქე მთები და ტყეები,
მათი ვარდი და იაცა.
ფხვიერ მიწის, ძველი ვეფხის
გვასმინე ხმა, აფხიარცა.

ჩემს ყრმობის ხანში

ჩემს ყრმობის ხანში
მე აფხაზეთში
მიყვარდა წასვლა
უცნობ ბილიკით,
რომ დაემტკბარიყავ
ცად ანაზიდის
ჩუქურთმებითა
და ბაზილიკით.

მიყვარდა მთები —
უზარმაზარი,



მიუვალი და
უცნობი გზები,
უუძველესი იგი ტაძარი,
უმშფოთვარესი
ის ხეობები.

მოგზაურობა
სიძნელით სავსე
ჩემთვის არასდროს
არაა ძნელი,
როდესაც იცი
გადიფრენს თავზე
წელიწადების
ქროლა ფიცხელი.

იმ ყრმობის გზაზე
ბევრი ხვეული
იყო, მხარეო,
ჩემთვის მრავალი;
დე, ჩნდეს, ხელიხელ
გადახვეული
წარსული, აწმყო
და მომავალი.

მე დრო მაგალებს:
მოწყენით ნუ ხარ! —
და უძველესი
ტყეების მცველი
აქ ჩემს მახლობლად

შრიილებს მუნა,
ვით მომხიბვლელი
მოტივი ძველი.

რ ი ც ა

აფხაზეთს არის
ერთი ტბა რიცა
და იქ სომ გვახსოვს
შენცა და მეცა:
ზეცა, ვით ზეცა
და არა მიწა,
მიწა, ვით მიწა
და არა ზეცა.

იმ მიწაშიაც
ფრთების მოკვეცი
ატანაც შევძლო
იქნებ, ვინ იცის,
მიწის, ვით მიწის
და არა ზეცის,
ზეცის, ვით ზეცის
და არა მიწის.

ოჰ, გამახსენდა
ჩანგი, და მეც ის
შარავანდედად
მაგებებს ციმციმს

მიწის, ვით მიწის
და არა ზეცის,
ზეცის, ვით ზეცის
და არა მიწის.

აქ ყინვებია,
ლამაზო რიცა.
შენს ჭავლშია კი
სიზმრებს მიეცა —
ზეცა, ვით ზეცა
და არა მიწა.
მიწა, ვით მიწა
და არა ზეცა.

ტყვარჩელი

როგორც მფლობელი
ფასუდებ ტახტის,
ამაყად ჩადის
ქვათა მწვრველი
იქ, სადაც დუმილს
წარბშეკრულ შახტის
სძრავს სიმღერის ხმა
დაუძლეველი.

აქ მიწის გულის
ქანაობს ღელვა,



მადიდებელი
გულთა კავშირის,
იმ უშავესთა
ფენათა ყელვა —
ბრწყინავდა ელვა
იმ ქვანახშირის.

გზა აცხოველებს
ჟამთა სიახლეს,
როგორც სარკეში
სხივების მტვრევა,
მალაროების იდუმალ გრიაღს
სდევს ქვანახშირის
მონგრევა, ნგრევა.

შენ გაოცდები,
რომ ამოდენა
განძის მიწაში
ხმა ცასაც ესმის,
რომ ქვანახშირის
ზეამოტანა,
ამოტანაა
დღის უახლესის.

და იტვირთება
რკინიგზა ქვითა,
ლიანდაგები
იცვლება კვანძით,
ასეთნაირი

ქვებით დატვირთვა,
დატვირთვა არის
ძვირფასი განძით.



ქართული
ბიბლიოთეკა

სანგრევი სანგრევს
რომ აგრე ელის,
ელექტრომაკლით
მიწის ქვეშ, ჩქარა,
გასაბრწყინებლად
ახალ ტევარჩელის
მოდის ქვეზანი
და აკარმარა!



ევქსინის პონტი

მშვენიერია ევქსინის პონტი,
ვინ მოიგონა ეს ძვირფასი სმა?
მედვას ამბით შენ მომავონდი
და ჟრუანტელმა გული დასიცხა.

როგორც საკირე დრაკონის ყბებით
ირწევა ოქროს ვერძების ტყავი,
შენზე ოცნების გრიგალს ავეყვი
და სინარული მკლავს აურწყავი.

რაც უნდა გითხრა — იქნება სიტყვა,
გამოუთქმელი მძირავს მეწყერი,
ძველი მითოსის ტალღები მირტყამს
და ახალ არგოსს ორფეოსს ვმღერი.

მაგარი, როგორც სარგის ჯაყელი
და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი,


ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელ
და გაღადრული მიშრება ყრონტი



საქონელი
ნიკოლოზი

პალმების ტყეში მტრედივით გავრა
მიფრინავს თეთრად იალბუზისკენ,
მთვარეც ღრუბლების ტალღებში გაქრა,
თითქო დევებმა ხელი უბიძგეს.

ისმის ზვირთების ზათქი, ვანგაში,
როგორც სიმღერა არგონავტელთა,
ავვისტოს ღამის ცის კამარაში
ზღვა და ხმელეთი ისევ გამთელდა.



აფხაზი ქალი

მანსოვს შავი ზღვა, ცხელი ზაფხული,
მატარებელი გაჭრილი ქშენით,
ირველივ ბაღები ნაყოფასხმული
და უეცარი გაცნობა შენი.

ამაყად მითხარ აფხაზის ქალმა,
რომ მუშფაკიდან ტყვარჩელს
ბრუნდები.

შენ მოიშორე სიბნელის ჩაღმა
და ადათების შიშვე ხუნდები.

შემოგყურებდი დიდხანს დიმილით,
შველივით დამდგარს ტურფა ქალებთან.
შორს მზე ბრწყინავდა ოქროს
ლილივით
და ფანჯრებიდან გვითვალთვალებდა.

შემდეგ გამოჩნდა მალარო მთაში,
ხვეთან შეჩერდა მატარებელი...
წახველ, გამშორდი და ფიქრი გაჭრს
დიდხანს მოგდევდა, როგორც
მხლებელი.

ვიცი, დაგიხვდა მთა ვანახლებით,
მალაროებში ცეცხლი მკვესავი,
მხოლოდ ერთხელ ვარ შენი მნახველი
და მაინც გულში ღვივი მზესავით.

არ მავიწყდება ზღვა და ზაფხული,
მატარებელი შემდგარი ქშენით,
მაქვს ნეტარებად შემონახული
მე უეცარი გაცნობა შენი.

ვ ა რ ა დ ა *

ვანგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამაპაპური ვარადა.

იგი ღუღუნი — სიმღერა
არ არის ვასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.

ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა,

* ვარადა — ჩერქეზული სიტყვაა და „სიმღერას“ ნიშნავს. როგორც ჩერქეზულში, ისე აფხაზურში, მეგრულში და ზოგიერთ სხვა კავკასიურ ენაში „ვარადა“ არის ყველაზე გავრცელებული სასიმღერო რეფრენი.

კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის ვვარადა. ე.ა. მონაწილე
ბიზლიმონი

უბნობს თუ ვითა ცხოვრება
ათასი წლისა წყნარადა
ერთბაშად, ერთის მობერვით
სულ წარხვეტილა ქარადა!

ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლებს
ბედისა სამუქარადა.
ეტყვის: მარტოკა დამავლე
ნაწყვეტად, ნაონარადა;

მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!

განგებავ! გვედრებ ნუ მიწყენ,
თუ რომ შეგჩივი მარადა,
ხანდახან დავიღუღუნო
ვაი და ვაი ვარადა!



ბ ა ბ რ ბ

სააგარაკო სიჩუმე დილის...
ქუჩების გვა და რწყვა...
ტალღას გაკრული მერცხალი ჭყივის
და მძიმედ სუნთქავს ზღვა...
მას თითქო ტვირთის ტარება უძძიმს
და უფრო მატებს შნოს:
ნაპირთან — ფერი კომპოსტოს
ფურცლის
და მუქი ლურჯი — შორს...

სახლია ზღვასთან. მე და შენ
ვეხვრობთ.
არავინაა სხვა.
სახლიდან ერთი ხელია მხოლოდ —
ვეებერთელა ზღვა.
ჩვენ ყოველ დილით მივდივართ მასთან

და ვეფიცებით მზეს

და კარგად ვიცით, დიდხანს არ ვახსენებ
ის, რაც გვახარებს დღეს...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აუხდენელო სურვილო ჩემო,

რამ დამავიწყოს მე

მაგ შენი მლაშე ტუჩების გემო

და გალიძება მხნე.

მზერა — უძირო და უსაშველო,

საბედისწეროდ ღრმა,

და შემოწნული შუბლის გარშემო

თავთუხისფერი თმა...

მე ისევ ზღვასთან მელირსა შეყრა,

ზღვიდან ნიავი ქრის,

ნეტა ვიცოდე — სადა ხარ ეხლა,

ეხლისება ვის?

ჩემებრ თუ გართობს სიჩუმე დილის,

ფიქრები სხვა და სხვა...

ტალღას გაკრული მერცხალი ჭყივის

და მძიმედ სუნთქავს ზღვა.

ორი მწუხამსი

პოემა

1

მდინარე ფსოუ თუ იცით,
ერთი პატარა წყალია,
მთებიდან თავქვე ჩამორბის,
ზღვისაკენ მოუხარია.

ერთი პატარა წყალია,
თითქოს მშვიდი და წენარია,
ფსკერზე თეთრ კენჭებს დაუთვლი,
მთაში თუ კარვი დარია.

მაგრამ შემოვა აბრილი,
შემობრძანდება მაისი,
ფსოუ გადავა ნაპირებს,
ბობოქარ ტალღებს აიშლის.



ზათქით ჩამოაქვს მთებიდან
 უზარმაზარი მორები,
 ზღვასთან კი, თითქოს შემკრთხვანდ, ~~მოდის~~
 მოდის ზღაზვნით და ზმორებით.

მდინარის ვაღმა-გამოდმა,
 სადაც თავდება ხეობა,
 ხესილის ბაღში ჩაფლული
 ძლივს მოჩანს მოსახლეობა.

ერთ სოფელს ჰქვია დუბოვკა,
 მეორე სოფელს — მუნხარი,
 მათი ბაღები, შინდვრები,
 ვერ ნახოთ უთეს-უნხავი.

ერთმანეთს ეჯიბრებიან
 გამარჯვებაში ვანთქმულნი,
 ვაღმა-გამოდმა გაისმის
 სიმღერა რუსულ-ქართული.

რუკაზე დიდხანს ვეძებუ,
 და გეტყვით გულდაწყვეტილი,
 რატომღაც გამორჩენიათ
 დაესვათ ორი წერტილი.

ამ ორი გმირი სოფლისა
 რუკამ არ იცის ამბავი,
 თუმცა რამდენი რამ არის
 რუკაზე დაუსტამბავი.

ამიტომ უფრო ვესწრაფვი,
ხელიხელ გადაჭდობილი,
გავაცნოთ ორი სოფელი,
ორი ნაცადი ძმობილი.

ახლა რომ ვაღმა არყის ხე
შრიანებს ცაში აჭრილი,
იქ ერთი ვმირი დაეცა,
სისხლისგან სულმთლად დაცლილი.

სოფელში ყველა იცნობდა,
იგორი ერქვა სახელად,
ერთი შეება ოცეულს,
ერთმა გაელიტა ნახევრად.

ნაპირზე მისი საფლავი
იმ არყის ხესთან ანთია,
საფლავიც ვთქვათ და საფლავიც,
ის მთელი სოფლის დარდია.

გამოდმა ჯმუხი მუხა დგას,
მიწაში ფესვებგამჯდარი,
ცას შეკბუბუნებს ზვიადი,
დარი არის თუ ავდარი.

ამ მუხის ძირთან ქალ-ვაეებს
გულისნადების გამხვლა
გაუტენ ფიცად ეთვლებათ
და მიაჩნიათ სახელად.

აქ მარმარილოს სულ თეთრი,
პატარა ობელისკია,
თითქოსდა ქვა კი არ არის,
ერთი ნაგლეჯი ნისლია!



ქართული
ბიბლიოთეკა

ნისლი კი არა, მანდილი,
ნისლივით თეთრი მანდილი!
სატრფოს მდულარე ცრემლებთან
საფლავზე ძირს დავარდნილი.

ამ მუხის ძირთან დაეცა
სოფლელი ბიჭი არჩილი,
როცა მტრის რიგებს ლეწავდა,
მუსრავედა მძიმედ დაჭრილი.

იბრძოდა, სანამ შეეძლო
ჭაბუკს თვალების გახელა
და ვაჟკაცს არცა სჩვეოდა
ლაჩრულად უკან დახვეა.

ამიტომ უყვართ ქალ-ვაჟებს
აქ გულის ფიქრის გამხელა...
გაუტეხ ფიცად ეთვლებათ
და მიაჩნიათ სახელად!

უფრო შორიდან დავიწყეთ.
იყო ომი და ხანძარი,
მამებმა მთელი ქვეყანა
მტრის შესამუსრად აღვძარით.

სოფელი რაა, კერაც კი
არ დარჩა არსად მდუმარი,
ყველა იღვწოდა, იბრძოდა,
ვისაც შესწევდა უნარი.



— სამშობლო ვანსაცდელშია! —
ისმოდა ყოველ კუთხეში,
ბრძოლად დაიძრა ლაშქარი,
ჩვენი სამშობლოს ნუგეში.

დუბოვკელებმა ყანებში
დაიკაპიწეს ხელები,
შრომასაც ბრძოლა დაერქვა, —
უტევდნენ მუხნარელები.

ფრონტს ყველაფერი სჭირდება,
სამშობლოს უნდა ეშველოს
და ეშელონი ფრონტისკენ
მისდევდა კიდევ ეშელონს.

როგორც დუბოვკას, მუხნარსაც
ჰყავდა ჯოგები, ფარები,
მათგან ათასფრად ბზინავდა
ფსოუს უტეხი ჭალები.

როგორც დუბოვკა, მუხნარიც
ორ მწყემსზე მიგითითებდა;

ორი ჭაბუკი უვლიდა
ორივე სოფლის დიდებას.



ქართული
ბიბლიოთეკა

ფსოუს გაღმა და გამოღმა
გადადიოდა ნახირი,
ჭალებს მისდევდა ზოზინით
ქორფა ბალახზე დახრილი.

თუ ფსოუ მოულოდნელად
ავდრისგან აზვირთდებოდა,
გამოდმელს შიში არ ჰქონდა,
ჯოჯი რომ გაღმა რჩებოდა.

ასე იყვნენ და შრომობდნენ
ჭაბუკნი სასახელოდა,
იქით იგორი მღეროდა,
აქეთ არჩილი მღეროდა.

3

და როცა თმის ღრუბელი
ფსოუს ცას გადაებურა,
ორი სოფელი წამოდგა,
მტერს შეუტია ვეფხურად.

სარდლის ბრძანება მოვიდა, —
სოფლებმა გაჭრეს სანგრები:

ვართ დუბოვკა და მუხნარი,
მტერს აქვე გავუმაგრდებით!



ქართული
წიგლისათვის

ბავშვებს და დედებს, მოხუცებს
აყრა ურჩიეს სოფლიდან;
სხვამ, ვისაც ღონე ვრჩოდა,
ხელი იარაღს მოჰკიდა.

იმ ღამეს ფსოუ ადიდდა,
თითქოს გაბრაზდა, გახელდა,
მტერიც უტევდა, ყუმბარა
მიწას თხრიდა და ცას ხევდა.

ელვა კრთებოდა, ზრიალით
სკდებოდა მუნა ბებერი,
ტყვია ცელავდა მიდამოს
ცეცხლისგან ავად შეფერილს.

ფსოუს ნაპირზე ორ ჭაბუკს
გამოერეკა ნახირი,
ბილიკებს ფრთხილად მოსდევდნენ
წყნარი სტვენით და ძახილით.

საჭირო იყო მტრისაგან
სოფლის დოვლათის დამალვა
და ბჭობდა ორი ჭაბუკი,
სულ ორი თოფის ამარა.

პირუტყვი წყალში შერეკვს,
არჩილი მიჰყვა განდაგან.
იგორი ფრთხილობს, სროლა
სულ ახლო, სერის გადაღმა.



თუმც წყალმა ცხვრები, ბატკნები
გაიტაცა და წაიღო,
ეს დანაკლისი რა იყო,
მტრის ლუკმა მაინც არ იყო!

როცა მდინარის გამოღმა
ტყეს შეეფარა ჯოგები,
ტყის გაღმით სროლა მოისმა
სასტიკი, დაუზოგველი.

იგორმა არჩილს გასძახა:
— ნახირს მიხედუ, ძმობილო,
მე კი მტერს გავუმკლავდები,
არ დამრჩეს უკმაყოფილო!..

უკვე რიჟრაჟი დგებოდა
და წყალზე ნისლი წვებოდა,
მძიმედ დაჭრილი იგორი
მტერს მაინც ეომებოდა.

გამოღმა კვეთდა არჩილი,
მტერი არჩილმაც ირგუნა,
გაპყიჟინებდა მტარვალებს
ჭაბუკი მხნედ და დიდგულად.

გადარჩენილი ნახირი
ტყეში შორს იყო წახული.
...მაღე სოფლიდან დაიძრა
ხალხი იარაღსხმული.



ქართული
ბიბლიოთეკა

მაგრამ იგორს ვერ მიუხვრეს,
არჩილს კი, სისხლში შეფერილს,
უკანასკნელად აღმოხდა
სამშობლოს სადიდებელი.



რიწას ტბაზე თქმული

ცისკარმა შვა მთებში რიწა,
თუ შენს ცალ თვალს გაელვიდა.

მთის უბეში ჩაჭედილა,
ეგებ ცრემლი ხარჩა ცირას.
ბინდში ტბა წევს, როგორც დილა,
და შენ ვნატრობ ამ ტბის პირას.

რცხილებში და წიფელებში
არ ემჩნევა რიწას წლები.
შენც არ შეხვალ სიბერეში,
თუ ტბის ძირას წამოწვები.

მე გავთალე ლერწმის ღერო,
მინდა ტბასთან შენ ვიმღერო.

მთაში მღერის ტბა ფირუზის,
სად ხარ ნაზი, ჩემი ვაზი?

მთას უბეში რიწა უზის,

როგორც სიყრმის ხმა და აზრე
ქართული
ბიზლირთხეა

თურმე ეს ტბა მკერდში მყავდა.
რატომ მყავდა ვულში რიწა?
რადგან იგი შენს თვალს ჰგავდა
და სამშობლოს ეშხი მისცა.

ცა-ფირუზი, ტბა-ზურმუხტი...
მე ვუგალობ ჩემს აფხაზეთს.
საიდუმლო ტბას მივუხვდი,
და შენ გნატრობ რიწის გზაზე.

ტბაზე ღაწვის ბუსუსია,
შენი ხელის ხავერდია.
რიწა თითქოს ცას უსვრია
და მე მკერდში ჩამეტია.

ტბა ჩრდილებით დაიბინდა,
წლებით ღაწვი ვაგეცრიცა.
ტბასთან შენი ხილვა მინდა
და ტკარცალებს ბინდში რიწა.

ბზებში ბზინავს თუ თელებში,
ვით ბუნების ლურჯი სიყრმე.
ჩამახედე შენს თვალებში
და მაჩვენე რიწის სიღრმე.



ბზის ტყეში შეველ ბიჭვინთის გზაზე,
ხავსს შეეფუთნა ხეები მწვანე,
სად წამიყვანე ტყის სილამაზევ,
სად მომიყვანე!

ტყეში ხავსივით დუმილი მეფობს,
ხავსს დამჩნევია თამარის კვალი.
ბზებს ვეუბნები: მისმინეთ, ძმებო,
ვამიღეთ კარი.

ლამაზო დედავ, ვარდები თესვ
და აღმოცენდა ნათესზე ბზები.
ბზები აღიან წიწვიან მთებზე
და წარსულს ვწვდები.

მინდა გავათბო მკერდით ფესვები,
გავსინჯო ფესვში ჩაწნილი წლები.
ხეებს ნისლივით ვეაღერებ
და მიყვარს ბზები,

უდრეკი, როგორც ხალიბის რვალი,
სპეტაკი, როგორც ძვირფასი ქვები.
ტყის სილამაზეს მოვაველე თვალი
და გზაზე ვდგები.

მალლა ირხევა ლაგვარდის ჭერი.
მზის ნაპერწკლები შევნიშნე ბზაზე,

სამშობლოს ბზებზე ამაყად ვმღერად,
ბიჭვინთის გზაზე.



ღ ი ო ს კ უ რ ი ა

ზღვით სცემდა მხედარს ურიცხვი მხეფი
ორი ათასი წლის წინათ. თურმე,
და მშრალ სილაზე აღბეჭდა ტერფი,
ზღვაში განბანა წითური ჰუნე.

ღიოსკურია ჩემი გულია,
მისი ცინცხალი წყალი მწყურია.

მიღეულ მთვარედ აღბეჭდილია
გამშრალ სილაზე ნავი პატარა.
ზღვაზე ფარფატა აფრის ჩრდილია,
ჩვენ რომ ვრცელი ზღვა გადმოგვატარა.

ღიოსკურია, მწამს ქართულია,
ქართველის მიერ ზღვასთან თქმულია.

ჩანს ზღვის კიდეზე ღრუბლის ფთილები,
სადაფისფერის სწრაფი გემები,
როგორც აფრების ლურჯი ჩრდილები,
შორით მომყვება მოგონებები.

მომავონდება ზღვაზე ლაზები,
ეგრისელები და აფხაზები,

მთაზე მყვირალი ჯონქა ირმები
და მოცქრიალე ზღვასთან ცირებენ



საქართველოს
ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხალხის გათელვა ვერვინ ინებოს,
მოგონებებო, სად ირაზმებით,
სად იშმუშნებით, სად ინაზებით,
აფრების დარად აფრენილებო.

სიყრმის ეამს ზღვასთან თუ დავიბუდეთ,
მოწიფულობას ახლა ვიჩემებ,
როგორც ბარტყები, შენ ჩაგვიხუტე
და მზის მახლობლად მთები გვიჩვენე.

ლურჯი შხეფები ზღვით შეგვიშხეფე,
ჩემი გულია დიოსკურია.
შენ თქროსფერი თევზებით მკვებე,
და შენი მლაშე წყალი მწყურია.

სამშობლოს მიწას ხმლებით ვზომავდით,
ვინ გადაგვთელა ვერვინ ბოროტად,
ვერვინ დაღეწა ჩვენი ხომალდი,
სადაც სამშობლოს ფიქრი ცხოვრობდა.

ახლაც მივცურავთ ურყევი რწმენით,
თოლიასავით ფრენა მწყურია
და გულში მღერის სახელი შენი,
უცხო სახელი — დიოსკურია.

გ ა მ ზ რ დ ე ლ ი

ნამდვილი ამბავი

გუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სივრძეს და განს.

ის ფაცხაა მღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად —
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, —

ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა-ელვას.



ქართული
ბიბლიოთეკა

მაგრამ, როცა დაჰქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არემარე,

მაშინ ფაცხა უბრალოდით
მომხიბლავად ლამაზია
და იმასთან ვველა ტყუის,
რაც-კი ცინე-დარბაზია.

გზა მოუძღვის საცალფენო,
მინვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზრდილ-გამოწვრთნილი:
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს
ვინ ჰპატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შესტრფის და ვინ შეჰხარის?

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარყოფი
მცირედითაც კმაყოფილი.



კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მიაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლად
მიიყვანა ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზიბროლა — სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ელემს აღვად ასულია!..

ელფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი — შორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველად
გულის კარი გაუღია.



ქართული
ბიბლიოთეკა

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს
სცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!
ერთად ჰგრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფეველის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნალველს!..
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ,
ნადირსაც კი უფრთხო ძილი!..



ქარი ზუის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გაფარდება მეხი ხშირად.

თითქოს მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ედებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ ვიღაც მგზავრი
სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს!

ლაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ;
ცხენს და კაცსა გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არის?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
ვაშთაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამფეხ სკამს — დაღალულს.

ბმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის...
თავ-პირი აქვს შებუნდული
ყაბალანით და იცინის!..



ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ზნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
და, ბაშლიყი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა:

„მასპინძელო! — სიცილით სთქვა —
წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?“

— საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?

მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი,
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

შეეხვეწა: აბა ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო.

— არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვანაირი გულისთქმისო...



უპასუხა და მოუყვა:

„მინდა ვითხრა ჩემი ჭირი;
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება ძმაო პირი!

„აღმასხიტს ხომ კარგად იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

„ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ,
ერთადერთი საშიშარი.

„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი ვადარია.

„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არად აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავეით
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია!..



„მთვარესავით ხელუნლები, —
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

„ჯერ გაძლიავეს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

„შეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ შეგონა...

„დამაჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო!“

„ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმცა კი სხვა დროს არ იკადრებ
ამას კაცი თავმოყვონე.“



„აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ აღმასხიტის
ღურჯი ლაფშა მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუნა, დააღონა.

უთხრა: „ვწუნვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგან სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

„გზა აღარ ვაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო:

„მის ოცნებას, მის გულისთქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
ვინდ სიცოცხლაც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.“

„ეს შენც იცი, — არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, —
სავაჟკაცოდ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!



„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილაც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

„ერთმანეთის მინამსგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცნოს,
აგებნევა გზა და კვალი.

„შენ ევ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამომუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო ქარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაქშუის თავზე ქარი.



III

ირიერაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა; დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა; დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ტკბილად მძინარ ნაზიბროლას,
თუ გავუძელ გულის ძკერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ყრვოლას“...



ქვემოთა
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

სასოებით შედის ქვაბში
და რას ჰხედავს იქ საკვირველს?
ნაზიბროლა ჩუმად სტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ჰხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!.

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს — სიზმარია,
დაივიწყე ისევ შალე!

„ყოველგვარი მოსავეალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვია და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რათ ემღურო?

„გადაივდე ვულიდან ეკ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.



მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყენარა, დაამშვიდა
აღერსით და ბეკრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
სჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა მის ძიძის შვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“



— „შევეასრულე მოგიყვანე,
დროა, აწ-კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ რომ ვერას გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოეწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმაღური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მით ცხენები,
ააღელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუსით ჩაატარეს.



ქართული
ბიბლიოთეკა

რომ ჩავიდუნ შორიახლოს
მინდვრის პირად, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

— „საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!

„არა სთქვა-რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

„ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედად
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
ვაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
ვაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..

„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...“



„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“

— „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...“

„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე ის გვეოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.“

„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“

„მაგრამ ერთს კი დაგაუალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარლოში,
იცოდე, რომ სულ პირველად,

„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგეშართა!“



გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც ვვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით; არც ქონებით, —
პაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოდ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაკჰადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭანშაკია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, —
არ ტყუილი ქადილია;

სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზრდილია.



საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წერთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ, ამ უსუბთან
მიდის ახლა საფარ-ბეგი,
მორღუობის გამტეხი და
ჩვეულების გადამღევი.

ეუბნება ყოველიფერს,
უნებურად რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინადვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგრძეგანა.

ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“
— „შაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..“

„მხოლოდ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენის საქციელის
პასუხს მისგან მოვევლიო!“



ქართული
ბიბლიოთეკა

— მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავდვრიო!..

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდინარ!“

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

ბ ა ბ რ ა

ვინი გამიღვიძა გაგრამ
ზღვაში თავაწყვეტილ ცურვის,
მინდა გადავეშვა... მაგრამ
ვიკლავ დაუოკარ სურვილს.

ვფიქრობ ატკივებულ გულზე
და სხვა არაფერი მეთქმის.
შიშით შორიახლო ვუმზერ
ზღვისპირ მოსეირნე ეჭიმს.

ფეხით შევეხები ქვიშას
და მის ნაფეხურებს წავშლი,
ვისაც მიაჩნია გიყად,
გულით ავადმყოფი — წყალში.

დავალ უჩვეულოდ, წყნარად,
მაჯა არითმულად მიცემს,

რადგან მარტოოდენ წყალად
არ ვთვლი უსაყვარლეს სივრცეს,
სინანული
გიგლიჩიძე

არც ზღვის საიდუმლოს ვეძებ
და არც სინანული მცრემლავს.
ვეფიქრობ: გაისადაც შევძლებ
ღურჯი ჰორიზონტის ცქერას?

ვნებებს, გაუცვეთელ განცდებს,
ჟინს და აბორგებულ სურვილს
თუ არ ეზიარა, გასკდეს
ერთხელ გასასკდომი გულიც...

ა ვ ხ ა ზ ე თ უ ი

ცას აწითლებს მზე ჩასული.
ფირუზს აკრავს წინ ზურმუხტის რკალი.
აი, გაგრა, —
მთებისა და ზღვის ასული, —
საბანაოდ მხრებგაშლილი ქალი.

ტევრზე ტევრი:

ჩამოშლია კავკასიონს ტყეებად
დაბლა ბევრი ფერდობი და თხემი.
ბინდში მოჩანს, ვით კანკელი ვეება,
ოდესიდან ბათუმისკენ მიმავალი გემი.


ვიცი: ახლა

ვრილ მარუხზე გადმომდგარი ჯიხვები
სწევენ მაღლა ნიაუნაკრავ კისრებს
და დავრეხილ რქების წვერზე იხვევენ
ძილისათვის შეჩერებულ ნისლებს.

მოვიხადე ამდენიხნის ვალი:
მოვიარე ბიჭვინთა და რიწა...
მშვენიერი აფხაზეთის მიწა, —
საქართველოს თვალი!



ქართული
ბიბლიოთეკა



მთეზი ზღვასთან

თეთრი ღრუბელი მთა-მთა მოცურავს,
გულში შეცურდა სიმღერის გედი,
შეხე, კაცივით ზღვასთან მოსულა
კავკასიონის მაღალი ქედი.

მხრებს დაბჯენია ზეცის თავეანი
და ლამის ნისლი აღარ ებურვის
და, როგორც ზვიად გემთ ქარავანი,
დგას სარეისოდ გამზადებული.

უსაზღვრო ზღვაში საცაა შევა
ივერიის მთა აყრილი ტანით,
მარილიანი წყლის დასალევად
და საბანაოდ მოსულან მთანი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გრიგოლ აბაშიძე	
ღამე ტყვარჩელში	5
ოჩამჩირელი ბერიკაცები	6
ირაკლი აბაშიძე	
ზღვა	8
შოთა აკობია	
აფხაზი მონადირე	11
ერცახუ	12
ხიდი ბესლეთზე	12
ლადო ასათიანი	
ერთი საღამო აფხაზეთში	15
ხუტა ბერულავა	
ყულანურხვაში ნათქვამი	17
კალე ბობოხიძე	
საბჭოთა აფხაზეთი	19
ვიქტორ გამესკირია	
*** (სოხუმში მოსულ ვემს...)	21
მელიტონ გობეჩია	
ზღვა და მთა	22
მზის ჩასვლა	22
იროდიონ ვედოშვილი	
ზღვის პირს	24



/27

ქართული

(გეგმვა)

დომენტი თომაშვილი	
ლამე აფხაზეთში	
იოსებ იმედაშვილი	
აფხაზთ ვმირი აბრასკილი	
ამბავი)	29
ანა კალანდაძე	
*** (ლუშასპე და რიცა)	40
გიორგი კალანდაძე	
შავი ზღვის პირას	41
კარლო კალაძე	
შავი ზღვის პირად სახლი ავაგე...	43
აფხაზური სიმღერა	45
გიორგი კაჭახიძე	
რიწის ტბა	50
მურმან ლეღანიძე	
მამა (ბაღადა)	52
ჭრელი ყაბაღაბები	58
გიორგი ლეონიძე	
აფხიარცა	61
რევაზ შარგვიანი	
რიწა	63
ილიო შირცხულავა	
აფხაზური	66
კოლაუ ნადირაძე	
აფხაზეთში	69
ვალაკტიონ ტაბიძე	
დიმიტრი გულიას	73
შესდგა ცხენი	74
გამარჯობა, აფხაზეთო, შენი	75
აფხაზეთო, აფხაზეთო	76
„ჩარღა ამთა“	77
*** (აფხაზეთის წვიმა მიყვარს)	78
ვეფხისტყაოსნის აფხაზურ ენაზე თარგმნის	
გამო	80



80

*** (აქ ხილულ ოცნებას)

ქართული
საქართველოს
საქართველოს

ჩვენი კოდორი	
აფხიარცა	
ჩემს ყრმობის ხანში	84
რიცა	86
ტყვარჩელი	87
ტ. ციან ტაბიძე	
ევქსინის პონტი	90
ელადიშერ უბილაჯა	
აფხაზი ქალი	92
გიორგი შარვაშიძე	
ვაჩიდა	94
მიხეილ ქელივიძე	
გაგრა	96
ალეკო შენგელია	
ორი მწყემსი	98
სიმონ ჩიქოვანი	
რიწას ტბაზე თქმული	107
ბზის ტყეში	109
დიოსკურია	110
აკაკი წერეთელი	
გამზრდელი	112
ოთარ ჭელიძე	
გაგრა	131
კონსტანტინე ჭიჭინაძე	
აფხაზეთში	133
თეიმურაზ ჯანგულაშვილი	
მთები ზღვასთან	135

ЗДРАВСТВУЙ, АБХАЗИЯ!

ს ბორნიკ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1969



ქართული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი კარლო კალაძე
შემდგენელი ბესიკ ადგიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ჯ. ბაჯელიძე
შხატრები გ. გორდელაძე და ჯ. კანიშვილი
შხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ი. უშვერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-69 წ.

ქაღალდის ზომა 70×90¹/₃₂

ნაბეჭდი თაბახი 4,375

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,8

ტირაჟი 3000 შეკვ. № 6209

ფასი 85 კამ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. „Накадули“, ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვე-
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, „Накадули“, Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5



ქართული
ენების ცენტრი